



**შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის
სასწავლო უნივერსიტეტი**

**სამართლის ფაკულტეტი
სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა**

თემა: დანაშაულის ამსრულებლობა

**ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად**

სტუდენტი :

ავთანდილ ბოსტოღანაშვილი

ნაშრომის ხელმძღვანელი :

ასოცირებული პროფესორი

ნუგზარ თევდორაძე

თბილისი

2019

შინაარსი

ანოტაცია.....	3
Annotation.....	4
შესავალი	5
თავი I. ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა	9
თავი II. პრობლემის კვლევა/ანალიზი	11
2.1. დანაშაულში თანამონაწილეობის ფორმები	11
2.2. დანაშაულის ამსრულებლობის ფორმები.....	15
2.2.1. უშუალო ამსრულებელი.....	15
2.2.2. დანაშაულის თანამსრულებლობა.....	20
2.2.3. შუალობითი ამსრულებელი	27
2.3. დანაშაულის ამსრულებლისა და თანამონაწილის	
ურთიერთგამიჯვნა	35
თავი III კვლევის შედეგი.....	44
დასკვნა	48
გამოყენებული ლიტერატურა	50

ანოტაცია

ჩემი სამაგისტრო ნაშრომი ეხება დანაშაულის ამსრულებლობას. ნაშრომი შედგება ლიტერატურის მოკლე მიმოხილვისგან, შესავლის ორი თავისგან და ევთავებისგან. ასევე კვლევის შედეგისაგან და ბოლოს დასკვნისაგან. ჩემი სამაგისტრო ნაშრომი შედგება 50 ნაბეჭდი გვერდისგან.

ნაშრომის პირველ თავში მოცემულია ლიტერატურა რომელიც ნაშრომის მუშაობისას გამოვიყენე. პირველ თავში განხილული მაქვს ამსრულებლის ცნება და სახეები ასევე არაპირდაპირი თანამსრულებლობის დოქტრინა საერთაშორისო სისხლის სამართალში. განხილული მაქვს არაპირდაპირი დოქტრინის აუცილებელი ელემენტები. რაც შეეხება მეორე თავს განხილული მაქვს თანამსრულებლობა და თანამონაწილეობა ქართულ და გერმანულ სისხლის სამართალში ასევე მათი გამიჯვნის საკითხი და ბოლოს ჯგუფური დანაშაული. ხოლო ნაშრომის ბოლოს მოცემულია კვლევის შედეგები.

Annotation

My master's work deals with crime. The work consists of a brief review of literature, from the two chapters of the introduction. As well as from the results of the survey and from the conclusion. My master's work consists of 63 printed pages.

In the first chapter of the workbook is a literature that I used when working on the work. In the first chapter I considered the notion of the performer and faces as well as the doctrine of indirect co-operation in the International Criminal Law. I have considered necessary elements of indirect doctrine. As for the second consideration, I have a concerted and co-participation in the Georgian and German criminal law as well as the issue of their separation and finally the group's crime. At the end of the work is given the results of the survey

შესავალი

დანაშაულთა საერთო რიცხვში დიდია თანამონაწილეობით ჩადენილ დანაშაულთა წილი. საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის მეშვიდე თავი ეძღვნება დანაშაულის ამსრულებლობის, თანაამსრულებლობის, შუალობით ამსრულებლობისა და დანაშაულში თანამონაწილეობისათვის სისხლის სამართლებ-რივი პასუხისმგებლობის საკითხებს.

„განზრახი მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში ორი ან მეტი პირის ერთობლივი მონაწილეობის დროს მათი როლების გასამიჯნავად ქართული სისხლის სამართალი იყენებს დუალისტურ სისტემას. იგი დანაშაულის განხორციელებისას შესრულებული როლის მიხედვით მონაწილეებს განიხილავს ამსრულებლებად ან თანამონაწილეებად.“¹

თემის აქტუალობა. XIX საუკუნის ბოლოდან სისხლის სამართლის თეორიაში თანამონაწილეობის იურიდიულ ბუნებასთან დაკავშირებით არსებობს ორი ძირითადი თეორია.

აქცესორობის თეორია და დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის თეორია.

¹ <https://geolaw.wordpress.com/2013/03/10/amsruleblis-cneba-da-saxeebi/>
უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 15.12.2018წ.

სიტყვა აქცესორობა ლათინური წარმოშობისაა და ნიშნავს არადამოუკიდებელს .

აქცესორული თეორიის არსი იმაში მდგომარეობს რომ თანამონაწილეობით ჩადენილ დანაშაულში ცენტრალური ფიგურა არის ამსრულებელი, ხოლო დანარჩენი თანამონაწილეების ქმედება ითვლება დამხმარედ, რომელთაც არ გააჩნიათ დამოუკიდებელი მნიშვნელობა .თანამონაწილეთა ქმედების შეფასება და მათი პასუხისმგებლობა გამომდინარეობს ამსრულებლის ქმედების ხასიათიდან და მისი პასუხისმგებლობიდან.

დასჯადია ქმსრულებლის ქმედება - დასჯადია თანამონაწილეთა ქმედებაც თუ ამსრულებელს არ ეკისრება პასუხისმგებლობა. ასევე არ შეიძლება თანამონაწილისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება. გარდა ამისა თანამონაწილისათვის სასჯელის შეფარდება უნდა მოხდეს იმ მუხლით რომელიც ითვალისწინებს ამსრულებლის ქმედებას.

საბჭოთა მეცნიერება აქცესორობის თეორიას პოლიტიკური მოტივებით მიიჩნევდა როგორც ბურჟუაზიულს. ითვლებოდა , რომ ეს თეორია არ გამორიცხავს სხვისი ბრალით პასუხისმგებლობას, ისევე როგორც არ ანიჭებს დამოუკიდებელ მნიშვნელობას თანამონაწილეთა საქმიანობას გარდა ამსრულებლისა.

წინამდებარე თემის აქტუალობა განპირობებულია იმით, რომ ქართული სისხლის სამართლის თეორიასა და პრაქტიკაში დღესდღეობით არ არის მკვეთრად შემუშავებული მიდგომა ამსრულებლისა და თანამსრულებლის სხვა თანამონაწილეებისგან გასამიჯნავად. თემის აქტუალობის არსი მდგომარეობს დანაშაულის თანამონაწილეობაში, რომელიც უნდა განხორციელოს თანამონაწილის აქტიურმა მოქმედებამ. დანაშაულში თანამონაწილენი, თავიანთი როლების მიხედვით ახორციელებენ ორგანიზატორის, წამქმნებლის ან დამხმარის ფუნქციებს სწორედ აქტიური მოქმედების გზით. აქტუალურია და საყურადღებოა ის ფაქტიც რომ ამსრულებლობის ცნების განსაზღვრება გვხვდება საზღვარგარეთის ქვეყნების სისხლის სამართლის კანონმდებლობაშიც, მაგალითად, გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით ამსრულებელია ის, ვინც დასჯად ქმედებას ჩაიდენს თვითონ ან იმ პირის მეშვეობით, რომელსაც პასუხისმგებლობა არ

დაეკისრება. თემაში შევეხე გერმანელ მეცნიერ კლაუს როქსინს რომელიც აღნიშნავს იმას, რომ „თანამონაწილე – ამსრულებლისაგან განსხვავებით, არის პერიფერიული ფიგურა. ამსრულებლისათვის ასე თუ ისე დამახასიათებელია „განხორციელებულზე ბატონობა“, თანამონაწილე კი მოქმედებს ჩადენილზე ბატონობის გარეშე, მაგრამ ამსრულებლობისა და თანამონაწილეობის გამიჯვნა, რომელიც დაკავშირებულია ან როგორც ამსრულებლის, ან როგორც თანამონაწილის სუბიექტის სტატუსის დადგენასთან, მოვლენათა სისხლისამართლებრივი შეფასებისას და ამგვარი მიდგომისას, რჩება რთულ ამოცანად. იგი ხორციელდება ადრე განვითარებული ორი, და მესამე – მოგვიანებით გავრცელებული თეორიების საფუძველზე.

ასევე ქართული სისხლის სამართალი გერმანულის მსგავსად განზრახი და გაუფრთხილებელი დანაშაულისათვის ამსრულებლის სხვადასხვა ცნებებს ხმარობს იმას, რომ განზრახი დანაშაული ამსრულებლის დუალისტურ კონცეფციამაა აგებული გაუფრთხილებელდანაშაულს კი ერთიანი ამსრულებლის კონცეფციას უდებს საფუძვლად.

ნაშრომის მიზანი და ამოცანა. შესრულებული ნაშრომის მიზანია მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით გამოიკვლიოს დანაშაულის ამსრულებლის ინსტიტუტისა და მისი ცალკეული ფორმების შინაარსი, მათი დამოკიდებულება ერთიანი დანაშაულის სხვა თანამონაწილეების მიმართ და განსაზღვრულ იქნეს ის პრობლემები და შეცდომები, რაც იწვევს პრაქტიკაში ამსრულებლისა და დანაშაულის სხვა თანამონაწილეების როლის დადგენას.

ნაშრომის ამოცანაა მკაფიოდ გამოკვეთოს ამსრულებლისა და თანამსრულებლის ინსტიტუტისათვის დამახასიათებელი თვისებები დანაშაულის სხვა თანამონაწილეებისგან და ხელი შეუწყოს პრაქტიკაში დანაშაულის ამსრულებლის მიმართ სისხლის სამართლის ნორმების სწორად გამოყენებას.

კვლევის მეთოდები. ზემოთ აღნიშნული მიზნების მიღწევისა და ამოცანების გადაჭრისათვის, სამაგისტრო ნაშრომში საკვლევი თემის პრობლემის გაანალიზებისას გამოყენებულია ისტორიული, სტატისტიკური, შედარებით-სამართლებრივი კვლევის მეთოდები, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია მეტ-

ნაკლებად, ობიექტურად წარმოჩინდეს საკვლევი თემის აქტუალურობა თანამედროვე სისხლის სამართლის სისტემაში.

ახლა უშუალოდ განვიხილავ თუ რომელი მეთოდი რა პრობლემის გადაჭრაში დამეხმარა და რა გავაანალიზე აღნიშნული მეთოდით. „ისტორიული მეთოდი“ დამეხმარა განმესხვავებინა გასულ საუკუნეებსა და ახლანდელ დროში, დანაშაულის ამსრულებლის როლი. „სტატისტიკური“ მეთოდით თემაში გამოყენებულია ინფორმაცია, დაგვეხმარა წარმოგვეჩინა თუ რამდენად ხშირია დღესდღეობით თანამონაწილეობით ჩადენილ დანაშაულთა რიცხვი. რაც შეეხება „შედარებით“ მეთოდს, იგი აუცილებელია, მოცემულ თემაზე მუშაობისას, რათა შედარება მოვახდინოთ ქართულ და უცხო ქვეყნის კანონმდებლობას შორის, კერძოდ, სასამართლო პრაქტიკის კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით, შეგვიძლია გავაანალიზოთ ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობის დადებითი და უარყოფითი მხარეები. მოცემული მეთოდების გამოყენებით და დახმარებით აღნიშნული თემის შესახებ მოვიპოვე ინფორმაცია, რომელიც დამეხმარა ზუსტად გამეგო, თუ რა არის სსკ-ის 22-ე მუხლის (დანაშაულის ამსრულებლობა) დებულება, და მასთან დაკავშირებული საკვლევი საკითხები.

თავი I. ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა

როგორც ვიცით დანაშაულის ამსრულებლობა სისხლის სამართლის კოდექსისი 22-ე მუხლში გათვალისწინებული არის როგორც დანაშაულის ამსრულებლობა ცნება და მისი სახეები. თემის სრულად და ობიექტურად გამოკვლევისათვის საჭირო გახდა მასალის დამუშავება და იმ ავტორთა წიგნების გამოყენება რომელშიც ჩვენი თემის ირგვლივ მიპოვება ინფორმაცია. კერძოდ: გამოვიყენეთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი რომელიც დაგვეხმარა იმის გამოკვლევაში თუ რას წარმოადგენს უშუალოდ ამსრულებელი, დანაშაულის ამსრულებლის ცნების და სახეების შესახებ ინფორმაციის მოძიებაში. შემდეგი ლიტერატურა რომელიც არის ო. გამყრელიძის ამსრულებლობა და თანამასრულებლობა დაგვეხმარა გამოგვეკვლია ისეთი საკითხი როგორცაა ამსრულებლის მოქმედება კონკრეტულ შემთხვევაში რა მოქმედებებს ახორციელებს. ავტორის აზრით, „ამსრულებელია ის ვინც მარტო შედის ბინაში,

მართო აწვდის საწამლავს ობიექტს და ასრულებს მხოლოდ უშუალოდ ისეთ მოქმედებებს რომელის შედეგადაც სახეზე მივიღებთ დანაშაულებრივ ქმედებას“.

ასევე ჩემი ნაშრომის დამუშავებაში დამეხმარა პროფესორი თ. დონჯაშვილის სახელმძღვანელო.” სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი” რომელშიც განმარტებულია, ამსრულებლის ორგანიზატორის, დამხმარის და წამქეზებლის არსი და მნიშვნელობა. იმისათვის რომ შეგვედარებინა ერთმანეთს ქართული და უცხოური კანონმდებლობა ამისათვის საჭირო გახდა გამოგვეყენებინა ისეთი ლიტერატურული წყარო როგორცაა მაგალითად “M BURI, UBER KANSALITAT UND DEREN VER LE „ რათა გამოგვევლინა თუ რა მსგავსება და განსხვავებაა ამ კონკრეტულ შემთხვევაში გერმანიისა და საქართველოს კანონმდებლობას შორის ამსრულებლობასთან დაკავშირებით. საიდანაც გამოიკვეთა რომ გერმანულ და ქართულ კანონმდებლობაში ამსრულებლობასთან დაკავშირებით კანონმდებლები თითქმის ერთ აზრზე არიან და მნიშვნელოვანი განსხვავებაც არ არის.

შევხევე ვასმერის მ.პ. ამსრულებლობას და თანამონაწილეობას იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოში და გერმანიაში. სადაც გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოყოფენ ამსრულებლობის მეოთხე სახეს, პარალელურ ამსრულებლობას .მას ადგილი აქვს მაშინ, როცა რამდენიმე პირი ერთმანეთისაგან სრულიად დამოუკიდებლად აზიანებს დანაშაულის ერთსა და იმავე ობიექტს. მაგალითად, ორმა პირმა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მოწამლეს ერთი ადამიანი (ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ჩაუყარეს მსხვერპლს სასმელში საწამლავი), მაშინ თითოეული მათგანი მკვლელობის პარალელური ამსრულებელია.

ასევე გამოყენებული გვაქვს სასამართლო გადაწყვეტილებები და სხვა კონკრეტული სახელმძღვანელოები რომლებშიც ძირითადად მოცემული გვაქვს თუ რას ნიშნავს ამსრულებლობა, თანაამსრულებლობა და სხვა ისეთი თემები რომლებიც კონკრეტული თემის ირგვლივ ინფორმაციის მოძიებაში დაგვეხმარა.

გამოყენებული მაქვს Гришаев П.И., Кригер Г.А., Соучастие по уголовному праву, М., 1959, ст. 15. სადაც თანაამსრულებლობა შეიძლება განხორციელდეს როგორც აქტიური მოქმედებით ისე უმოქმედობითაც და ამ დებულებას

უარყოფდნენ პ.ი.გრიშაევი და გ.ა.კრიგერი, რომლებიც თვლიან, რომ “თანამონაწილეობა ლოგიკურად წარმოუდგენელია იმ შემთხვევაში, როდესაც ყველა თანამონაწილის მოქმედება უმოქმედობაში გამოიხატება. ასევე Roxin C., *Strafrecht, Allgemeiner Teil, Band II*. München: C.H.Beck., 1994 სადაც გერმანული სასამართლო პრაქტიკა და მეცნიერთა გარკვეული ნაწილი ე.წ. „Animustheories“ ემხრობა და მათი მოსაზრებით, ამსრულებლობისა და თანამონაწილეობის სურვილი (animus auctoris; animus socii) გამომდინარეობს კუმულაციურად ქმედების შედეგისადმი დაინტერესების, თანამონაწილეობის როლის მნიშვნელობის და ქმედებაზე ბატონობის ხარისხის ან მინიმუმ ქმედებაზე ბატონობის სურვილის მიხედვით. ამის საწინააღმდეგოდ კი, გაბატონებული მოძღვრება, რომელიც 1960 წლებში კლაუს როქსინის მიერ იქნა წარმოდგენილი, ქმედებაზე ბატონობის თეორიას უპირატესობას და მთავარ მნიშვნელობას ანიჭებს.

თავი II. პრობლემის კვლევა/ანალიზი

2.1. დანაშაულში თანამონაწილეობის ფორმები

დანაშაულის ამსრულებლობის სახეები (უშუალო, თანაამსრულებელი და შუალობითი) შეიძლება უკეთ იქნეს გაგებული, თუ თავდაპირველად განვიხილავთ დანაშაულში თანამონაწილეობის ფორმებს.

„თანამონაწილეობა ნიშნავს, რომ დანაშაულში ყოველი მონაწილის მოქმედება მიმართულია მათთვის საერთო დანაშაულის განხორციელებისკენ. აერთიანებენ რა ძალებს დანაშაულებრივი შედეგის მისაღწევად, თანამონაწილეებმა შესაძლოა დანაშაულის ჩადენაში სხვადასხვაგვარი წვლილი შეიტანონ. ზოგიერთმა მათგანმა უშუალოდ ადასრულოს დანაშაულის ობიექტური შემადგენლობა, სხვებმა კი შესაძლოა ამა თუ იმ სახით ხელი შეუწყონ მას და

შეუქმნიან აუცილებელი პირობები დანაშაულის წარმატებულად განხორციელებისა და მისი დაფარვისათვის.²

განასხვავებენ თანამონაწილეობას ფართო და ვიწრო გაგებით. ფართო გაგებით თანამონაწილეობა ნიშნავს დანაშაულში თანამონაწილეობას როლების დაუნაწილებლად. ”დანაშაულში თანამონაწილეობა ფართო გაგებით არის ორი ან მეტი პირის დანაშაულებრივი კავშირი, რომელიც ერთიანი სისხლისსამართლებრივი უმართლობის განხორციელებით გამოიხატება. ამ თვალსაზრისით იგულისხმება ფართო აზრით დანაშაულში თანამონაწილეობის შინაარსი“³

ვიწრო გაგებით კი თანამონაწილეობა გულისხმობს როლების განაწილებას დანაშაულის მონაწილეთა შორის (ორგანიზატორი, წამქეზებელი, დამხმარე). „თანამონაწილეობის ცნების ვიწრო გაგებით, დანაშაულში თანამონაწილეობად ითვლებიან მხოლოდ ორგანიზატორი, წამქეზებელი და დამხმარე, ხოლო დანაშაულის უშუალო ამსრულებელი, ე.ი. ის, ვინც სისხლის სამართლის კერძო ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობას უშუალოდ თავისი საკუთარი გონებითა და ხელებით ახორციელებს, დანაშაულში თანამონაწილედ არ ითვლება“⁴.

თანამონაწილეობა ფართო გაგებით უშუალო ამსრულებელსაც თანამონაწილედ თვლის და აქედან გამომდინარე თანაამსრულებლობაც თანამონაწილეობაა. ვიწროდ გაგებული თანამონაწილეობა კი მხოლოდ ორგანიზატორის, წამქეზებლის და დამხმარის დოგმატიკურ ფიგურებს მოიცავს.⁵

„დანაშაულში თანამონაწილეობა, როგორც წესი, ხორციელდება თანამონაწილეთა აქტიური მოქმედებით. დანაშაულში თანამონაწილენი, თავიანთი

² Под ред. Академика В. Н. Кудрявцева. Учебник уголовного права, Общая часть, Москва, 1996, გვ.182

³ გ. ტყეშელიაძე და “სხვები” სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, (რედ. გ.ნაჭყებია; ი.დვალაიძე), თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2007, გვ. 202

⁴გ. ნაჭყებია, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2015, გვ. 261

⁵გ. ტყეშელიაძე და “სხვები”, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, (რედ. გ.ნაჭყებია; ი.დვალაიძე), თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2007, გვ. 138-139

როლებს მიხედვით ახორციელებენ ორგანიზატორის, წამქეზებლის ან დამხმარის ფუნქციებს სწორედ აქტიური მოქმედების გზით.⁶

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ „თანამონაწილეობა შესაძლებელია მხოლოდ განზრახ დანაშაულში, სადაც თანამონაწილენი, მათ შორის ამსრულებელი, მოქმედებენ პირდაპირი განზრახვით, ამასთან, განზრახ დანაშაულში, როგორც წესი, იგულისხმება პირდაპირი განზრახვა.“⁷

როგორც გერმანელი მეცნიერი, კლაუს როქსინი აღნიშნავს, „თანამონაწილე – ამსრულებლისაგან განსხვავებით, არის პერიფერიული ფიგურა. ამსრულებლისათვის ასე თუ ისე დამახასიათებელია „განხორციელებულზე ბატონობა“, თანამონაწილე კი მოქმედებს ჩადენილზე ბატონობის გარეშე, მაგრამ ამსრულებლობისა და თანამონაწილეობის გამიჯვნა, რომელიც დაკავშირებულია ან როგორც ამსრულებლის, ან როგორც თანამონაწილის სუბიექტის სტატუსის დადგენასთან, მოვლენათა სისხლისამართლებრივი შეფასებისას და ამგვარი მიდგომისას, რჩება რთულ ამოცანად. იგი ხორციელდება ადრე განვითარებული ორი, და მესამე – მოგვიანებით გავრცელებული თეორიების საფუძველზე“⁸.

სისხლის სამართლის თეორიაში ერთმანეთისაგან განასხვავებენ თანამონაწილეობის ერთიან და დუალისტურ სისტემას. თანამონაწილეობის ერთიანი სისტემა ამსრულებლად თვლის ყველას, ვინც მიზნობრივად და დაკავშირებული შედეგთან. თანამონაწილეობის ერთიანი სისტემის მიხედვით ყველა, ვინც დანაშაულის ჩადენას შეუწყობს ხელს, დაისჯება როგორც ამსრულებელი. ეს სისტემა არ იცნობს აქცესორობის პრინციპს ანუ თანამონაწილეთა დასჯადობის დამოკიდებულებას ამსრულებლის დასჯადობაზე. ამ სისტემის მიხედვით ამსრულებლად ითვლება არა მხოლოდ ის პირი, ვინც ადამიანს მოკლავს, არამედ ისიც, ვინც სხვა პირს დაიყოლიებს მკვლელობის ჩასადენად (წამქეზებელი)

⁶ გ. ნაჭყებია, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., გამომ. „მერიდიანი“ 2015, გვ. 264

⁷ გ. ნაჭყებია., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., გამომც „მერიდიანი“, 2015, გვ. 270

⁸ Roxin C., *Strafrecht, Allgemeiner Teil, Band II*. München: C.H.Beck., 1994, გვ. 9

და ისიც, ვინც შექმნის პირობებს დანაშაულის ჩასადენად (დამხმარე). ამსრულებლად კვალიფიცირდება ნებისმიერი ქმედება, რამაც ხელი შეუწყო კონკრეტული სისხლისსამართლებრივი უმართლობის განხორციელებას და მხოლოდ სასჯელის დიფერენციაცია მოხდება პირთა მიერ დანაშაულის განხორციელებაში შეტანილი წვლილის მიხედვით.

ქართული სისხლის სამართალი, გერმანულის მსგავსად, განზრახი და გაუფრთხილებელი დანაშაულისათვის ამსრულებლის სხვადასხვა ცნებებს ხმარობს, განზრახი დანაშაული ამსრულებლის დუალისტურ (აქცესორულ) კონცეფციაზეა აგებული (ამსრულებელი სსკ 22-ე მუხლი და თანამონაწილეები-სსკ 23-ე და 24-ე მუხლები), გაუფრთხილებელ დანაშაულს კი ერთიანი ამსრულებლის კონცეფციას უდებს საფუძვლად.

„ქართული სისხლის სამართლის მიხედვით, ერთიანი ამსრულებლობის თეორია გამოიყენება მხოლოდ გაუფრთხილებლობითი დანაშაულის შემთხვევაში, ხოლო განზრახი დანაშაულის დროს ამსრულებელი მკვეთრად გამიჯნულია თანამონაწილისაგან, რის გამოც აუცილებელია დუალისტური თეორიის გამოყენება. გაუფრთხილებლობის დროს არ არსებობს თანამონაწილე (ორგანიზატორი, წამქეზებელი, დამხმარე), არამედ მხოლოდ ამსრულებელი. გაუფრთხილებლობითი დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, რომელმაც დაარღვია წინდახედულობის ნორმის აკრძალვა. ამის გამო ის პირი, რომელიც ფორმალურად ჰგავს წამქეზებელს, სინამდვილეში შეიძლება აღმოჩნდეს გაუფრთხილებლობითი დანაშაულის ამსრულებელი.“⁹

თანამსრულებლობის თანამონაწილეობისაგან გასამიჯნავად, ე. გვენცაძე, ასეთ მიდგომას წარმოგვიდგენს: “თანამსრულებლობისა და თანამონაწილეობის ურთიერთგამიჯვნა სასამართლო პრაქტიკის მიერ შემდეგნაირად წარმოებს: “თანამსრულებლობა მაშინაა სახეზე, თუ დანაშაულში მონაწილეს, საკუთარი წვლილით, მხოლოდ სხვისი მოქმედებისათვის ხელის შეწყობა კი არ სურდა, არამედ აღნიშნული წვლილი ერთობლივი მოქმედების ნაწილი უნდა იყოს. ამასთან, ქმედებაში მონაწილე საკუთარ წვლილს სხვა პირის მოქმედების ნაწილის

⁹ ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, თბ., 2013, გვ. 324

შესრულების სურვილით უნდა ეზიდებოდეს და, პირიქით, ამ უკანასკნელის მოქმედება ქმედებაში საკუთარი წვლილის შემავსებელ კომპონენტად უნდა სურდეს.¹⁰

ჩემი აზრით, სსკ-ის 22-ე მუხლი თანამონაწილეობისა და ამსრულებლობის გასამიჯნად მყარ კრიტერიუმს იძლევა, ამ მუხლის მიხედვით ამსრულებლად ჩაითვლება მხოლოდ ის, ვინც დანაშაულის ობიექტურ შემადგენლობას თავად უშუალოდ ან ცოცხალი იარაღის მეშვეობით განახორციელებს, ხოლო ასეთი ქმედების ორი ან მეტი პირის მიერ უშუალოდ განხორციელება თანამსრულებლობად განიხილება.

2.2. დანაშაულის ამსრულებლობის ფორმები

2.2.1. უშუალო ამსრულებელი

ამსრულებელი ფართოდ გაგებული თანამონაწილეობის ძირითადი სისხლისსამართლებრივი ფიგურაა. მის გარეშე არც დანაშაული არსებობს და არც

¹⁰ გვენცაძე ე., „დანაშაულში თანამონაწილეობის სუბიექტური მხარე“, სადოქტორო ნაშრომი, თბ., 2012, გვ. 92, http://press.tsu.ge/data/image_db_innova/Disertaciebi/elene_gvencaze.pdf

თანამონაწილეობა. იგი უშუალოდაა დაკავშირებული სისხლის სამართლის კერძო ნაწილში გათვალისწინებულ ქმედების შემადგენლობებთან.¹¹

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე მუხლის თანახმად, უშუალო “ამსრულებელია ის, ვინც უშუალოდ ჩაიდინა დანაშაული ან სხვასთან (თანაამსრულებელთან) ერთად უშუალოდ მონაწილეობდა მის ჩადენაში.”¹²

აღნიშნული განმარტებიდან გამომდინარეობს, რომ კანონი პირს უშუალო ამსრულებლად მიიჩნევს ორ შემთხვევაში:

1. როცა იგი უშუალოდ ჩადის დანაშაულს;
2. როცა იგი უშუალოდ მონაწილეობს დანაშაულის ჩადენაში სხვა პირებთან ერთად.

ამ ორ შემთხვევაში ჩაითვლება, რომ პირი უშუალოდ ჩადის დანაშაულს, ე.ი. მარტო ან სხვა პირებთან ერთად ასრულებს სრულად ან ნაწილობრივ კონკრეტული დანაშაულის ობიექტურ მხარეს.

განსხვავება ამ ორ სიტუაციას შორის არის მხოლოდ ის, რომ პირველ შემთხვევაში პირი მის მიერ ჩადენილი დანაშაულის ობიექტურ მხარეს სრული მოცულობით ასრულებს თავიდან ბოლომდე, ხოლო მეორე შემთხვევაში, როცა ის მოქმედებს სხვა პირებთან ერთად, მან შეიძლება დანაშაულის ობიექტური მხარე შეასრულოს სრულად ან ნაწილობრივ.

„თანაამსრულებლობის დროს არ არის აუცილებელი, რომ ყველა თანაამსრულებელი ქმედების ობიექტურ შემადგენლობას მთლიანად ასრულებდეს, არამედ საკმარისია, რომ თითოეულმა მათგანმა შემადგენლობის ერთი ელემენტი მაინც შეასრულოს“¹³

უშუალო ამსრულებელი თავისი ხელით ჩადის დანაშაულის ობიექტურ მხარეს. მაგალითად, დამნაშავე მარტო შედის სხვის ბინაში ქურდობის მიზნით, თვითონ აწვდის საწამლავს და კლავს ადამიანს, თვითონ აყალბებს დოკუმენტებს

¹¹ა. გაბიანე და “სხვები“, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, (სახელმძღვანელი), (რედ.: გ.ნაჭყეძია; ნ.თოდუა), თბ., გამომც. „მერიდინი“, 2016, გვ. 139

¹²საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბ., 1999, მ.22

¹³ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, ტ. III, თბ., გამომც. „საკანონმდებლო მაცნე“, 2013, გვ. 261

და სხვა. თანაამსრულებელი შეიძლება იყოს ერთი ან რამდენიმე, მაგრამ ყოველი მათგანი უნდა ასრულებდეს ობიექტური მხარის ნაწილს მაინც. ასე მაგალითად, თუ მკვლევლობის დროს ერთ პირს შებოჭილი ყავს ადამიანი, ხოლო მეორე მას სასიკვდილო ჭრილობებს აყენებს, ორივე ეს პირი მიიჩნევა მკვლევლობის უშუალო ამსრულებლად.

დანაშაულის „უშუალო“ ამსრულებლის ცნება გულისხმობს დანაშაულში თანამონაწილეობას ვინც აზრით, ე.ი. როლების განაწილებით, უშუალო ამსრულებლის როლი დანაშაულის ჩადენაში განსხვავდება ორგანიზატორის, წამქეზებლისა და დამხმარის როლისგან, რადგან დანაშაულის ამსრულებელი აქტიური ფიგურაა, იგი სისხლისსამართლებრივ უმართლობას ახორციელებს უშუალოდ თვითონ, თავისი ხელებით და გონებით. „აქედან გამომდინარე დანაშაულში თანამონაწილეობასთან კავშირში იგულისხმება არა ყოველგვარი ამსრულებელი, არამედ უშუალო ამსრულებელი, რადგან სისხლის სამართლის კერძო ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობას (სისხლისსამართლებრივ უმართლობას) მხოლოდ ამსრულებელი ახორციელებს უშუალოდ, მაშინ როდესაც დანაშაულში თანამონაწილენი ამ მიზანს მხოლოდ ამსრულებლის მოქმედების მეშვეობით აღწევენ.“¹⁴

მნიშვნელოვანია, რომ უშუალო ამსრულებელი უნდა უნდა პასუხობდეს სისხლის სამართლის კოდექსის როგორც ზოგადი, ისე კერძო ნაწილით დადგენილ სპეციალურ მოთხოვნებს. „ე.წ. სპეციალურ დელიქტებში ამსრულებელი შეიძლება იყოს მხოლოდ სპეციალური სუბიექტი (მაგალითად, მოხელე), ასეთი დანაშაულის თანაამსრულებლობა არ შეიძლება სხვა არასპეციალური სუბიექტის მიერ, არამედ არასპეციალურ სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ თანამონაწილე.“¹⁵

ზოგიერთი ავტორი ამსრულებლობის ცნებას, რატომღაც მხოლოდ თანამონაწილეობის ცნებას უკავშირებს და დაასკვნის, თითქოს ინდივიდუალურად მოქმედი არ შეიძლება იყოს ამსრულებელი. ეს შეხედულება პირველად ა. ტრანიმბა

¹⁴ გ. ტყემელიაძე და „სხვები“ სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, (რედ. გ. ნაჭყებია; ი. დვალიძე), თბ., 2007, გვ. 204

¹⁵ მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, თბ., გამომც. „ბონა კაუზა“, 2013, გვ. 325

გამოთქვა. მისი აზრით, ამსრულებლობაზე ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ თანამონაწილეობის დროს. „დანაშაულის ამსრულებლის ცნება, შედარებითი ცნებაა. იგი შეეხება მხოლოდ დანაშაულში თანამონაწილეობას, ვინაიდან შეუძლებელია ვილაპარაკოთ ამსრულებლობაზე, თუ დანაშაული ერთმა პირმა ჩაიდინა“.¹⁶

ასეთივე აზრს გამოთქვამს თ. ბურჩაკი. მასაც მიაჩნია, რომ „დანაშაულის ამსრულებელი - შედარებითი ცნებაა. იგი იგულისხმება მხოლოდ თანამონაწილეობის დროს, ე.ი. როცა ამსრულებლის გვერდით მოქმედებენ სხვა პირებიც, რომელნიც ასრულებენ სხვაგვარ როლს ორგანიზატორის, წამქეზებლის და დამხმარისას. თუ დანაშაულს ახორციელებს ერთი პირი, მისი როლისა და ფუნქციების საკითხი არ წამოიჭრება“.¹⁷

იმ ავტორებს, რომელთაც შეუძლებლად მიაჩნიათ ამსრულებლობაზე ლაპარაკი, მაშინ, როცა დანაშაულს ერთი პირი ჩადის, სრულიად ავინწყდებით შუალობითი ამსრულებლობის პრობლემა. ამსრულებლობის საკითხი პრობელმატური მხოლოდ მაშინ ხდება, როცა დანაშაულებრივ ქმედებას ერთად ახორციელებს რამდენიმე პირი, სულ ერთია, შუალობით ამსრულებლობასთან გვაქვს საქმე, თუ თანამონაწილეობასთან.

საბჭოთა სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით ამსრულებელი თანამონაწილედ განიხილებოდა და დანაშაულის ამსრულებლის განმარტება თანამონაწილეობის განმსაზღვრელ მე-19 მუხლში იყო წარმოდგენილი: „დანაშაულის თანამონაწილეობად, ამსრულებლებთან ერთად, ჩაითვლებიან ორგანიზატორები, წამქეზებლები და დამხმარენი“.¹⁸ საბჭოური კანონმდებლობა ობიექტური ნიშნით განსაზღვრავდა ამსრულებლობის ცნებას - ამსრულებლად ჩაითვლებოდა ის, ვინც უშუალოდ ჩაიდენდა დანაშაულს. თუმცა საბჭოთა სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით თანამონაწილეობად ჩაითვლებოდა ორი ან მეტი პირის განზრახ ერთობლივი მონაწილეობა დანაშაულის ჩადენაში, რაც თავისთავად გამორიცხავდა თანამონაწილეობას გაუფრთხილებლობით ჩადენილ დანაშაულში.

¹⁶Траинин, А. Н., Учение о соучастии. Москва, 1941, გვ. 107

¹⁷ო. გამყრელიძე, დანაშაულის შუალობითი ამსრულებლობა და თანამსრულებლობა, თბ., 1974, გვ. 44

¹⁸საქართველოს 1960 წლის 30 დეკემბრის სისხლის სამართლის კოდექსი, თბ., 1999,

„აქედან აშკარად გამომდინარეობს, რომ კანონის მითითება დანაშაულში განზრახ ერთობლივ მონაწილეობაზე თანაბარზომიერად ეხებოდა ყოველ თანამონაწილეს, მათ შორის დანაშაულის ამსრულებელსაც, რაც ნიშნავს მხოლოდ ერთს: როგორი ურთიერთობაც არ უნდა ჰქონოდა უშუალო ამსრულებელს სხვა თანამონაწილეებთან (ორგანიზატორთან, წამქვებელთან ან დამხმარესთან), მისთვის ძალაში რჩებოდა კანონის ერთი უპირობო და შეუცვლელი მოთხოვნა: რომ მასაც ისევე განზრახ ერთობლივად უნდა ემოქმედა, როგორც დანარჩენ თანამონაწილეებს“.¹⁹

ამსრულებლობის ცნების განსაზღვრება გვხვდება საზღვარგარეთის ქვეყნების სისხლის სამართლის კანონმდებლობაშიც, კერძოდ გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით ამსრულებელია ის, ვინც დასჯად ქმედებას ჩაიდენს თვითონ ან იმ პირის მეშვეობით, რომელსაც პასუხისმგებლობა არ დაეკისრება.

გერმანული სასამართლო პრაქტიკა და მეცნიერთა გარკვეული ნაწილი ე.წ. „Animustheories“ ემხრობა და მათი მოსაზრებით, ამსრულებლობისა და თანამონაწილეობის სურვილი (animus auctoris; animus socii) გამომდინარეობს კუმულაციურად ქმედების შედეგისადმი დაინტერესების, თანამონაწილეობის როლის მნიშვნელობის და ქმედებაზე ბატონობის ხარისხის ან მინიმუმ ქმედებაზე ბატონობის სურვილის მიხედვით. ამის საწინააღმდეგოდ კი, გაბატონებული მოძღვრება, რომელიც 1960 წლებში კლაუს როქსინის მიერ იქნა წარმოდგენილი, ქმედებაზე ბატონობის თეორიას უპირატესობას და მთავარ მნიშვნელობას ანიჭებს.²⁰

ქმედებაზე ბატონობაში იგულისხმება განზრახვაში მოაზრებული ქმედების შემადგენლობის განხორციელების „ხელთ ჰყრობა“ (In-den-Händen-Halten). ამსრულებელი არის ის, ვინც, როგორც ცენტრალური ფიგურა, ქმედების შემადგენლობის განხორციელებას მისი სურვილისამებრ მართავს, ხოლო თანამონაწილეა ის პირი, ვინც როგორც „გვერდზე მდგომი“ ფიგურა ქმედების

¹⁹Уголовное право, общая часть. Под редакцией Здравомыслова Б.В., М. 1999, гл. 247

²⁰Roxin C., *Strafrecht, Allgemeiner Teil, Band II*. München: C.H.Beck., 1994, гл. 107

შემადგენლობის განხორციელებისკენ უბიძგებს ამსრულებელს ან ხელს უწყობს მას.²¹

გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოყოფენ ამსრულებლობის მეოთხე სახეს, სახელდობრ, პარალელურ ამსრულებლობას. მას ადგილი აქვს მაშინ, როცა რამდენიმე პირი ერთმანეთისაგან სრულიად დამოუკიდებლად აზიანებს დანაშაულის ერთსა და იმავე ობიექტს. მაგალითად, ორმა პირმა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მოწამლეს ერთი ადამიანი (ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ჩაუყარეს მსხვერპლს სასმელში საწამლავი), მაშინ თითოეული მათგანი მკვლელობის პარალელური ამსრულებელია.²²

„პარალელური ამსრულებლები ისჯებიან როგორც ერთპიროვნული ამსრულებლები, ამიტომ ამ სამართლებრივი ინსტრუქტის სისხლის სამართლის კოდექსში გათვალისწინება არაა საჭირო“.²³

2.2.2. დანაშაულის თანაამსრულებლობა

პრაქტიკაში ხანდაან რთულია თანაამსრულებლისა და თანამონაწილის გამიჯვნა. თანაამსრულებლობის დროს ერთობლივად მოქმედებს ორი ან მეტი ამსრულებელი და მათთან ერთად ორგანიზატორი, წამქეზებელი, დამხმარე, ან ყველა აღნიშნული პირი. თანაამსრულებლობისას ჭარბობს აკუმულირებული ერთობლივი ქმედება, „ყველას ქმედება ერთობლივად“ და არა თანამონაწილეობის ფუნქციონალური ნიშნები.²⁴ ვინაიდან, თანაამსრულებელია პირი, რომელიც სხვა ამსრულებელთან ერთად მონაწილეობს დანაშაულის ჩადენაში და მათი საქმიანობა შეიძლება გამოიხატებოდეს როგორც იმაში, რომ თითოეული თანაამსრულებელი სრულად ახორციელებდეს დანაშაულის შემადგენლობის ობიექტურ მხარეს, ასევე

²¹ ვასმერი მ.პ., „ამსრულებლობა და თანამონაწილეობა, ასევე იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა საქართველოსა და გერმანიაში.“

²² ო. გამყრელიძე, დანაშაულის შუალობითი ამსრულებლობა და თანაამსრულებლობა, თბ., 1974, გვ. 48

²³ გ. ტყეშელაიძე და „სხვები“. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, გამომც: „მერიდიანი“, თბ., 2016, გვ. 196

²⁴ Козлов А.П., Соучастие: традиции и реальность, СПб., 2001, ст. 214

შესაძლებელია ერთი თანაამსრულებელი ასრულებდეს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მუხლით გათვალისწინებული ქმედების ერთ ნაწილს, ხოლო მეორე სხვას (მაგ.: მკვლელობისას ერთი ხელეხს უჭერდეს დაზარალებულს, ხოლო მეორე სასიკვდილო დარტყმებს აყენებდეს მას). ამ შემთხვევაში გადამწყვეტია ის, რომ არსებობს მოკვლის განზრახვა და ამ განზრახვის სისრულეში მოსაყვანად ხდება ხელეხის გაკავება, რომელიც უკვე არის მკვლელობის მცდელობა და აქედან გამომდინარე ხელეხის გამკავებელი ვერანაირად ვერ იქნება დამხმარე, ვინაიდან სახეზე გვაქვს თანაამსრულებლობა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმადაც – “გაუპატიურება, ე.ი. სქესობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მექარით ან დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით” გამოხატულია სამი ფორმით: სქესობრივი კავშირი ფიზიკური ძალადობით, სქესობრივი კავშირი ძალადობის მექარის გამოყენებით და სქესობრივი კავშირი დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით. პირველი ორი ფორმისას, გაუპატიურების ობიექტური მხარე შეიცავს მეტ ობიექტურ ნიშნებს, რამდენადაც მასში, გარდა თვით სქესობრივი კავშირისა, შედის ასევე ძალადობაც (ფიზიკური ან ფსიქიკური), მესამე ფორმა კი წარმოადგენს მხოლოდ სქესობრივ კავშირს მსხვერპლის თანხმობის გარეშე. ძალადობა გაუპატიურების პირველი ორი ფორმის ობიექტური მხარის ელემენტად იქცევა. ამიტომაც, პირი, ამა თუ იმ სახის ძალადობის განმახორციელებელი, ნაწილობრივ ასრულებს მოცემული სახის დანაშაულის ობიექტურ მხარეს. ახლა დავუბრუნდეთ მკვლელობას. საქ. სისხლის სამართლის მეცნიერებასა და პრაქტიკაში მკვლელობა განმარტებულია როგორც სხვისთვის მართლსაწინააღმდეგოდ და განზრახ სიცოცხლის მოსპობა²⁵. ამიტომ მკვლელობის ობიექტურ მხარეს წარმოადგენს ქცევა, რომელიც იწვევს სიკვდილს. ნ.პ.ბერესტოვოი თვლის, რომ “სხვა ქმედებების ჩადენისას, რომლებიც პირდაპირ არ არის მითითებული კანონში და სცდება გაუპატიურების საკანონმდებლო მახასიათებლებს, არ იძლევა საფუძველს რომ ამ ქმედების განმახორციელებელი პირები მივაკუთვნოთ მოცემული დანაშაულის

²⁵ სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, ავტორთა კოლექტივი, რედ. პროფ. გ. ტყეშელაძე, წიგნი I, თბ., 2006, გვ. 27.

ამსრულებლებს”. მაგრამ, მიუხედავად ამისა იგი წერს, რომ “მკვლევლობის ამსრულებელია არა მხოლოდ ის ვინც დაზარალებულს მიაყენა სასიკვდილო ჭრილობები, არამედ ისინიც, რომლებიც უშუალოდ ხელს უწყობდნენ მას ასეთი ჭრილობების მიყენებაში, მაგ. დაზარალებულს ხელეხს უჭერდნენ”.

თანამსრულებლობასთან დაკავშირებით, აღნიშნავს პროფ. ო. გამყრელიძე - “დანაშაულის ჩადენა” ნიშნავს კოდექსის კერძო ნაწილის მუხლით აღწერილი ქმედების შემადგენლობის უშუალოდ აღსრულებას. ამიტომ თანამსრულებლობა იგივე ამსრულებლობაა. სწორედ ამ ნიშნით განსხვავდება თანამსრულებელი თანამონაწილის, კერძოდ დამხმარისაგან. ამიტომ არის, რომ ხშირად პრაქტიკაში თანამსრულებელს დამხმარეში ურევინ ხოლმე. ასეთი აღრევა გვხვდება განსაკუთრებით პიროვნების წინააღმდეგ მიმართულ ისეთ დანაშაულებში, რომელთა შემადგენლობის ნიშნებია ძალადობა, მუქარა და სხვ. არ არის აუცილებელი, რომ ორივე ან სამივე თანამსრულებელი შემადგენლობას მთლიანად ასრულებდეს. საკმარისია, რომ თანამსრულებელმა შემადგენლობის ერთი ელემენტი მაინც შეასრულოს. თანამსრულებელია ისიც, ვინც მსხვერპლს უმწეო მდგომარეობაში მოიყვანს, ხოლო მეორე გააუპატიურებს. მსხვერპლის უმწეობაც შემადგენლობის ნიშანია²⁶. ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ უნდა ითქვას, რომ მართალია, “მსხვერპლის უმწეობის გამოყენებით” გაუპატიურების შემადგენლობის ნიშანია, მაგრამ უმწეო მდგომარეობაში მოყვანა შემადგენლობის გარეთაა. საცხებით მართებულია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შემდეგი - “ქმედების სსკ 137-ე მუხლის I ნაწ. კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს დაზარალებულმა თვითონ ჩაიგდო თავი ასეთ მდგომარეობაში, თუ დამნაშავემ მოიყვანა იგი უმწეო მდგომარეობაში (მაგ.: სასმელში ჩაუყარა დასაძინებელი წამალი). ამდენად, დაზარალებულის უმწეო მდგომარეობაში მოყვანის ფაქტი სსკ 137-ე მუხლის I ნაწ. შემადგენლობის მიღმა არსებობს. ამიტომაც, როცა მამაკაცი ქალს მოიყვანს უმწეო მდგომარეობაში (დააძინებს), მაგრამ ვერ შეძლებს სქესობრივი კავშირის დაჭერას, რადგან სხვები ხელს შეუშლიან, ქმედება

²⁶ ო. გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბ., 2005, გვ. 177-178.

დაკვალიფიცირდება არა გაუპატიურების მცდელობად, არამედ მომზადებად²⁷. იმ შემთხვევაში, როდესაც კანონი დანაშაულის შემადგენლობაში ითვალისწინებს სპეციალური სუბიექტის არსებობას, შესაბამისად ამ დანაშაულთა თანაამსრულებლებიც მხოლოდ სპეციალური სუბიექტები უნდა იყვნენ. ამ სახის დანაშაულთა რიცხვს მიეკუთვნებიან – სამხედრო, სამოხელეო და სხვა სახის დანაშაულები. თანაამსრულებლობა გამორიცხულია, როდესაც ერთი ამსრულებელი სპეციალური სუბიექტია და მეორე არა. ასევე არ შეიძლება საკუთარი ხელით ჩასადენი დანაშაულის (მაგ. საქ. სსკ 389-ე მუხლი დებერტირობა) თანაამსრულებლობა. შესაბამის დანაშაულებში მონაწილე ყველა დანარჩენი პირები შეიძლება იყვნენ – ორგანიზატორი, წამქეზებელი ან დამხმარე, ე.ი. ამ დროს შესაძლებელია მხოლოდ ვინაო გაგებით თანამონაწილეობა. სუბიექტური მხრივ თანაამსრულებლობა განზრახი ქმედებაა. ზოგჯერ თანაამსრულებლები მოქმედებენ წინასწარი შეთანხმებით, მაგრამ წინასწარი შეთანხმება ყოველთვის აუცილებელი არ არის. აუცილებელია მხოლოდ იმის ცოდნა, რომ ისინი ერთსა და იმავე სისხლისსამართლებრივ უმართლობას სჩადიან. თანაამსრულებლობის სუბიექტური მხარე ორ მომენტს მოიცავს: 1) შედეგისადმი ფსიქიკური დამოკიდებულება და 2) თანაამსრულებლის მხრიდან იმის ცოდნა, რომ ის სხვა თანაამსრულებელთან ერთად ახორციელებს კონკრეტულ სისხლისსამართლებრივ უმართლობას. შედეგისადმი ფსიქიკური დამოკიდებულება თანაამსრულებლობის დროს, თანამონაწილეობის მსგავსად, მხოლოდ პირდაპირი განზრახვითაა შესაძლებელი²⁸.

თანაამსრულებლობისა და თანამონაწილეობის თანაფარდობა ჩვეულებრივ განიხილება ორი სხვადასხვა და ურთიერთდაკავშირებული პოზიციით: ა) დასტურდება ამ ინსტიტუტთა დამოუკიდებლობა; ბ) შედარებით ინტენსიური ყურადღება ეთმობა მათ გამიჯვნას. გერმანული სისხლის სამართალი დანაშაულში რამდენიმე პირის მონაწილეობისას ერთმანეთისგან ამსრულებლობასა და თანამონაწილეობას განასხვავებს. ამსრულებლის სახით დაისჯება ის, ვინც

²⁷ სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, (წიგნი I), რედ. გ. ტყემელიაძე, თავი V, ავტ.: ნ. თოდუა, გამომცემლობა “მერიდიანი”, თბ., 2006, გვ. 149.

²⁸ ო. გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბ., 2005, გვ. 183.

დანაშაულს თავად (უშუალო ამსრულებლობა) ან სხვა პიროვნების (შუალობითი ამსრულებლობა) გამოყენებით ჩაიდენს (§25-ე 1). თუ რამდენიმე პიროვნება ერთობლივად ჩაიდენს დანაშაულს, მაშინ ყოველი მათგანი ამსრულებლის (თანამსრულებელი) სახით დაისჯება (§25-ე 11). დაყოფის ამ დუალისტური სისტემის (ამსრულებლობა და თანამონაწილეობა) საპირისპირო ფენომენს წარმოგვიჩინს ერთიანი ამსრულებლის პრინციპი, რომლის მიხედვითაც, ქმედების შემადგენლობის განხორციელებაში მიზეზობრივი წვლილის შემტანი ყოველი ადამიანი, ქმედებაში მისი წვლილის კონსტრუქციული წონის გაუთვალისწინებლად, ამსრულებლად განიხილება. ერთიანი ამსრულებლის განმსაზღვრელი კრიტერიუმი მხოლოდ კაუზალობაა; ქმედებაში შეტანილი წვლილის სახესა და მნიშვნელობას კი ყურადღება მხოლოდ სასჯელის შეფარდების სფეროში მიექცევა. ერთიანი ამსრულებლის ეს პრინციპი, მისი მასშტაბების გამაუხეშებელი ხასიათის გამო, რადიკალური სამართლებრივი შედეგების მქონე სისხლის სამართლისთვის ვარგისი არაა; თუმცა, კანონმდებელმა, გამარტივების მოსაზრებებიდან გამომდინარე, მაინც გამოიყენა ერთიანი ამსრულებლის ცნება ადმინისტრაციული გადაცდომების მომწესრიგებელი სამართლის სფეროში (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-14)²⁹. თანამსრულებლობა შეიძლება განხორციელდეს როგორც აქტიური მოქმედებით ისე უმოქმედობითაც. ამ დებულებას უარყოფდნენ პ.ი.გრიშაევი და გ.ა.კრიგერი, რომლებიც თვლიან, რომ “თანამონაწილეობა ლოგიკურად წარმოუდგენელია იმ შემთხვევაში, როდესაც ყველა თანამონაწილის მოქმედება უმოქმედობაში გამოიხატება³⁰. ამ დებულების საწინააღმდეგოდ უნდა ითქვას, რომ თანამსრულებლობა, როგორც თანამონაწილეობის ფორმა ლოგიკურადაც წარმოსადგენია და პრაქტიკულადაც შეიძლება შეგვხვდეს როგორც წმინდა უმოქმედობის, ისე შერეული უმოქმედობის დროსაც. უმოქმედობით თანამონაწილეობა შესაძლებელია ყველა იმ დანაშაულში, რომელიც მოვალეობის შეუსრულებლობაში გამოიხატება; მაგრამ თუ კანონით

²⁹ ი. ვესელსი, ვ. ბოილკე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაული და მისი აგებულება, ქართული გამოცემის, თბილისის საელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010, გვ. 286-287.

³⁰ Гришаев П.И., Кригер Г.А., Соучастие по уголовному праву, М., 1959, ст. 15.

აღწერილი დანაშაულის შემადგენლობა შეიძლება მხოლოდ აქტიური მოქმედებით განხორციელდეს, თანაამსრულებლობასაც მართოდ აღწერილი აქტიური ფორმით შეიძლება ჰქონდეს ადგილი. მართებულად მიიჩნევა ამ საკითხთან დაკავშირებით ო.გამყრელიძის მოსაზრება – უმოქმედობა ორი სახისაა: 1) წმინდა და 2) შერეული უმოქმედობა. წმინდა უმოქმედობა, მაგ.: დაუხმარებლობა (129-ე მუხლი), ალიმენტის გადახდისათვის ჯიუტად თავის არიდება (176-ე მუხლი), გადასახადისათვის თავის არიდება (218-ე მუხლი) და სხვა. ამ დელიქტების თანაამსრულებლობა არ შეიძლება, რადგან მათი ჩადენა დაკავშირებულია სპეციალური მოვალეობის შესრულებასთან. ეს მოვალეობა პერსონალურია და დელიქტის ბუნების განმსაზღვრელია. ამ მოვალეობის გადატანა სხვაზე არ შეიძლება, რადგან მოვალეობა პერსონალურია, მისი დარღვევა მხოლოდ ერთ პიროვნებას შეუძლია და ორი პიროვნებაზე ან სამზე თანაამსრულებლობის სახით ეს არ განაწილდება.

თანაამსრულებლობა, რამდენადაც იგი ფართო მნიშვნელობით გაგებული თანამონაწილეობის ფორმას წარმოადგენს, აუცილებლად განზრახ ბრალს გულისხმობს. ამიტომ, თუ რამდენიმე პირის მოქმედებით დანაშაულებრივი შედეგი გაუფრთხილებლობითაა გამოწვეული, თითოეული დამნაშავე პასუხს აგებს როგორც დამოუკიდებელი დამნაშავე და არა როგორც თანაამსრულებელი.

თანაამსრულებლობისა და თანამონაწილეობის ურთიერთგამიჯვნა სასამართლო პრაქტიკის მიერ შემდეგნაირად წარმოებს: “თანაამსრულებლობა მაშინაა სახეზე, თუ დანაშაულში მონაწილეს, საკუთარი წვლილით, მხოლოდ სხვისი მოქმედებისათვის ხელის შეწყობა კი არ სურდა, არამედ აღნიშნული წვლილი ერთობლივი მოქმედების ნაწილი უნდა იყოს. ამასთან, ქმედებაში მონაწილე საკუთარ წვლილს სხვა პირის მოქმედების ნაწილის შესრულების სურვილით უნდა ეზიდებოდეს და, პირიქით, ამ უკანასკნელის მოქმედება ქმედებაში საკუთარი წვლილის შემავსებელ კომპონენტად უნდა სურდეს.” აქვს თუ არა ქმედებაში მონაწილე პირს ამ ქმედებასთან აღნიშნული სახის მჭიდრო ურთიერთობაში ყოფნის სურვილი, “ყველა იმ გარემოების ანალიზის საფუძველზე უნდა დავადგინოთ, რომელსაც ბრალდებულის წარმოდგენა მოიცავდა. ამგვარი შეფასებისთვის

მნიშვნელოვან საყრდენ წერტილებს დანაშაულის შედეგისადმი საკუთარი ინტერესი, დანაშაულში მონაწილეობის მოცულობა და ქმედებაზე ბატონობა ან სულ მცირე, ქმედებაზე ბატონობის სურვილი შეიძლება წარმოადგენდეს.”

სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში დომინირებს აზრი იმის შესახებ, რომ თანაამსრულებლობა შეიძლება არაპირდაპირი განზრახვით. “თანაამსრულებლობისათვის, - წერს თ. წერეთელი, - არ არის აუცილებელი პირდაპირი განზრახვა, საკმარისია ევენტუალური განზრახვა. თუ, მაგალითად, ერთი საცხოვრებელი სახლის მესაკუთრენი დაზღვევის თანხის მისაღებად გადაწყვეტენ სახლის დაწვას, თანაც ითვალისწინებენ, რომ ცეცხლის წაკიდების შედეგად შეიძლება დაიწვას ამ სახლში მცხოვრები რომელიმე მდგმური და შეგნებულად უშვებენ ასეთ შედეგს, ცეცხლის წამკიდებელნი მოქმედებენ ევენტუალური განზრახვით და განიხილებიან როგორც მკვლელობის თანაამსრულებლები.”³¹

თანაამსრულებლობის სუბიექტური მხარის შესახებ მართებული შეხედულება გააჩნია ო. გამყრელიძეს. იგი კატეგორიულად გამორიცხავს არაპირდაპირი განზრახვითა და გაუფრთხილებლობით თანამონაწილეობის შესაძლებლობას და საბოლოოდ მიდის დასკვნამდე, რომ თანაამსრულებელთა, ისევე როგორც თანამონაწილეთა გამაერთიანებელი სუბიექტური ნიშანი არის საერთო მიზანი. თანაამსრულებლობისათვის აუცილებელია არამართო ერთიდაიგივე მიზნის არსებობა, არამედ აუცილებელია თითოეული პირის მიერ იმის ცოდნაც, რომ სხვასთან ერთად ჩადის დანაშაულს.³²

თანაამსრულებლობისას ნებისმიერ შემთხვევაში მოტივისაგან განსხვავებით მიზანი ყველასათვის საერთო უნდა იყოს, რადგან კონკრეტული დანაშაულებრივი შედეგი, რომლის მიღწევასაც ცდილობს დამნაშავე ანუ ხელყოფის ობიექტი ყოველთვის ვლინდება მიზნის დადგენით. შეიძლება თუ არა არაპირდაპირი განზრახვის დროს დანაშაულებრივ მიზანზე ვისაუბროთ? ამ შეკითხვას უარყოფითი

³¹ თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, გამომ. “მეცნიერება,” თბ., 1965, გვ. 142.

³² ო. გამყრელიძე, დანაშაულის შუალობითი ამსრულებლობა და თანაამსრულებლობა, გამომცემლობა “მეცნიერება,” თბ., 1974, გვ. 138-139.

პასუხი უნდა გაეცეს. “პირდაპირი განზრახვა, - წერს ო. გამყრელიძე, იმიტომ არის პირდაპირი, რომ დამნაშავეს მიზანი მიმართულია მოცემული დანაშაულებრივი შედეგისაკენ (ხაზგასმა ჩემია ი.დ.). ევენტუალური ანუ არაპირდაპირი განზრახვის დროს კი დამნაშავეს მიზანი არ არის მიმართული იმ დანაშაულებრივი შედეგისაკენ, რომელიც მას ბრალად ერაცხება. ამ შემთხვევაში დამნაშავეს მიზანი შეიძლება, თავის მხრივ, მიმართული იყოს საზოგადოებრივად სასარგებლო, ან ყოველ შემთხვევაში, სოციალური თვალსაზრისით ინდეფერენტული შედეგისაკენ. ისეც შეიძლება მოხდეს, რომ ადამიანს მიზნად ჰქონდეს დასახული რაიმე დანაშაულებრივი შედეგის გამოწვევა, მაგრამ მის მოქმედებას არაპირდაპირ მოჰყვეს კიდევ სხვა დანაშაულებრივი შედეგიც.”³³

თანაამსრულებლობა არაპირდაპირი განზრახვით შეუძლებელია შემდეგ გარემოებათა გამო: პირველი, ევენტუალური განზრახვის დროს დამნაშავეს მიზანი სულ სხვა შედეგისკენაა მიმართული. მეორე, ცნობილია, რომ არაპირდაპირი განზრახვით ჩადენილი დანაშაული მხოლოდ მაშინ ისჯება, როდესაც დანაშაულებრივი შედეგი დგება. ეს ფაქტი არაპირდაპირი განზრახვით თანაამსრულებლობის მომხრეებს ლოგიკურად აიძულებთ აღიარონ მომზადება და მცდელობა ევენტუალური განზრახვით, რადგან ცხოვრებაში ადვილი წარმოსადგენია, რომ დამნაშავეთა ევენტუალურ განზრახვას დანაშაულებრივი შედეგი არ მოჰყვეს. მესამე, არაპირდაპირი განზრახვით თანაამსრულებლობის მომხრეებს მაგალითად ყოველთვის მოჰყავთ თანაამსრულებლობის ისეთი შემთხვევები, როდესაც ე.წ. შერეულ განზრახვას აქვს ადგილი ანუ როდესაც დამნაშავეთა მიზნით მოცული შედეგი პირდაპირი განზრახვით დგება, ხოლო მისი პარალელური მეორე დანაშაული არაპირდაპირი განზრახვით დგება. ეს იმაზე მიანიშნებს, რომ შეუძლებელია დაუშვათ ისეთი თანაამსრულებლობა, როდესაც ერთ რომელიმე კონკრეტულ დანაშაულს რამოდენიმე პირი იურიდიულად ერთობლივად ახორციელებდნენ. მაშასადამე, უნდა ვაღიაროთ, რომ

³³ ო. გამყრელიძე, დანაშაულის შუალობითი ამსრულებლობა და თანაამსრულებლობა, გამომცემლობა “მეცნიერება,” თბ., 1974, გვ.143-144.

თანამსრულებლობა, ისევე როგორც თანამონაწილეობა შეიძლება მხოლოდ პირდაპირი განზრახვით, როდესაც დამნაშავეებს აერთიანებთ საერთო მიზანი.

2.2.3. შუალობითი ამსრულებელი

როგორც უკვე ავლიშნეთ, ქართული სისხლის სამართლი იცნობს დანაშაულის ამსრულებლობის სამ სხვადასხვა ფორმას: ერთპიროვნული (უშუალო) ამსრულებლობა, (უშუალო) თანამსრულებლობა და შუალობითი ამსრულებლობა.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე მუხლის თანახმად, დანაშაულის შუალობითი ამსრულებელია “ის, ვინც დანაშაული ჩაიდინა სხვა ისეთი პირის მეშვეობით, რომელსაც ამ კოდექსის მიხედვით ასაკის, შეურაცხაობის ან სხვა გარემოების გამო არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.” ამ დებულებაში გამოხატულია შუალობითი ამსრულებლობა, რადგან ამ შემთხვევაში დანაშაულს შემადგენლობის ობიექტური მხარე ხორციელდება „იარაღად“ გამოყენებული პირის მოქმედების მეშვეობით, რომელიც ამის გამო დანაშაულებრივი ქმედების თანამონაწილე ვერ იქნება და ასეთი ხერხით ჩადენილი დანაშაულისათვის პასუხს აგებს მხოლოდ შუალობითი ამსრულებელი.

„ამ შემთხვევაში არსებობს ფაქტობრივი თანამონაწილეობა, რადგან შუალობითი ამსრულებელი ფაქტობრივი წამქმნებელია, ხოლო წაქმნებელი (მცირეწლოვანი ან სულიერად დაავადებული პირი) - ფაქტობრივად ამსრულებელი. მაგრამ იურიდიულად საქმის ვითარება სხვაგვარია: ფაქტობრივად წამქმნებელი იურიდიულად ამსრულებელია, ხოლო ფაქტობრივად ამსრულებელი

იურიდიულად დანაშაულის „იარაღი“, რადგან ეს უკანასკნელი ნაქმეზებული ქმედების ჩადენისათვის პასუხს ვერ აგებს.“³⁴

შუალობითი ამსრულებელი ტიპურად ნაქმეზებლის ფორმით მოქმედებს, ამიტომ წმინდა ობიექტური თვალსაზრისით თუ მიუდგებით, ნაქმეზების დროს თანამონაწილეობასა და ამსრულებლობას შორის განსხვავებას ვერ ვხედავთ. შუალობითი ამსრულებლობა გვეჩვენება მხოლოდ მაშინ, როცა ნაქმეზებელმა იცის, რომ ის ნაქმეზებულს დანაშაულის ჩადენის „ცოცხალ იარაღად“ იყენებს.³⁵

თუ შევდომაში შეყვანილი იქნა და „ცოცხალ იარაღად“ გამოიყენეს შერაცხადი პირი, ისეთი შეცდომისთვის, რომლის აცილებაც შეუძლებოდა, იგი შეიძლება დაისაჯოს გაუფრთხილებლობისათვის, ხოლო შუალობითი ამსრულებელი დაისჯება განზრახ დანაშაულისათვის. „სსკ-ის 22-ე მუხლის სიტყვები „არ ეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა“ შემდგენიერად უნდა იქნეს გაგებული: შუალობითი ამსრულებლობის დროს ერთ შემთხვევაში, „ცოცხალ იარაღს“ საერთოდ არ ეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და არ ენიშნება სასჯელი, სხვა შემთხვევაში მას არ ეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა იმავე უმართლობისათვის, რისთვისაც ისჯება შუალობითი ამსრულებელი, მაგრამ იგი შეიძლება დაისაჯოს გაუფრთხილებლობისათვის, როცა თავიდან აცილებად შეცდომაში განზრახ იქნა შეყვანილი. ასევე შესაძლებელია, შუალობითი ამსრულებელი და „ცოცხალი იარაღი“ დაისაჯოს ორი სხვადასხვა განზრახ დანაშაულისათვის - შუალობითი ამსრულებელი ტერორიზმისათვის, ხოლო „ცოცხალი იარაღი“ მკვლელობის ან ქონების განადგურებისათვის“.³⁶

შუალობითი ამსრულებლობა არ წარმოადგენს თანამონაწილეობის სახეს. პირიქით, იგულისხმება, რომ იქ, სადაც შუალობით ამსრულებლობასთან გვაქვს საქმე, თანამონაწილეობა გამორიცხულია, თუმცა მიზემობრივ ჯაჭვში აქაც ჩაბმულია მეორე პირის მოქმედება, რომლის მეშვეობით შუალობითი ამსრულებელი

³⁴ ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, (რედ. გ. ნაჭყებია; ი. დვალაძე), თბ., 2007, გვ. 209

³⁵ ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, ზოგადი ნაწილი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2005, გვ. 178

³⁶ მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, თბ., 2013, გვ. 326

ახორციელებს თავის ჩანაფიქრს. ეს მეორე პირი ჩვეულებრივად ან სრულად არ აგებს პასუხს, ან პასუხს აგებს სხვა (გაუფრთხილებლობითი და არა განზრახვი) დანაშაულისათვის.

ჩვეულებრივად დამნაშავე თავისი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად რაიმე მექანიკურ იარაღს იყენებს. მაგრამ დამნაშავეს შეუძლია საკუთარი ფიზიკური ჩარევით კი არ მოახდინოს ზეგავლენა მიზემობრივი კავშირის განვითარებაზე, არამედ გამოიყენოს ამისათვის სხვა ადამიანი, როგორც ისეთი იარაღი, რომელიც მას ბრმად ემორჩილება. ასეთ შემთხვევაში დანაშაულის ფიზიკურ შემსრულებლად გამოდის სხვა ადამიანი („იარაღი“), ხოლო მის ნამდვილ პასუხისმგებელ ამსრულებლად თვით დამნაშავე.³⁷

ვინაიდან დანაშაულის ფიზიკური შემსრულებელი სხვისი ნების ბრმა იარაღია, ამიტომ დამნაშავე, რომელმაც იგი თავისი მიზნისათვის გამოიყენა, არ ჩითვლება წამქეზებლად, ან დამხმარედ, არამედ თვითონ არის დანაშაულის შემსრულებელი.

რა შემთხვევაში გვეჩნება შუალობითი ამსრულებლობა?

1. „ცოცხალი იარაღი“ შეიძლება პასუხს არ აგებდეს იმის გამო, რომ მისი მოქმედება, რომლითაც დანაშაულებრივი შედეგია გამოწვეული, ნებელობით აქტს არ წარმოადგენს. ასეთია მაგალითად, რაიმე ზიანის მიყენება ფიზიკური ძალადობის ზეგავლენით, როცა ვინმე ჩაუდებს ხელში სხვა პირს რევოლვერს და ხელს მოუჭერს მის თითს, რომელიც რევოლვერის ჩახმახზეა დადებული, რათა გასროლილი ტყვიით მოკლას თავისი მტერი. ასეთივე შემთხვევა იქნება თუ ქმედება ჩადენილია ჰიპნოზის მდგომარეობაში. ორივე შემთხვევაში „ცოცხალი იარაღის“ პასუხისმგებლობა გამორიცხულია აქტის არარსებობის გამო. ერთადერთი დამნაშავე, რომელიც მთლიანად პასუხისმგებელია მკვლელობისათვის, იქნება მოძალადე. იგი პასუხს აგებს როგორც მკვლელობის შუალობითი ამსრულებელი. შუალობითი ამსრულებელი შეიძლება ახორციელებდეს თავის განზრახვას იმითაც, რომ აღუკვეთავს სუბიექტს თავისი მოვალეობისშესრულების შესაძლებლობას, რასაც მოსდევს საზოგადოებრივად საშიში შედეგი.

³⁷მ. ბლიაძე, დანაშაულის ამსრულებლობა და დანაშაულში თანამონაწილეობა, თბ., 2006, გვ. 46

2. „ცოცხალი იარაღი“ შეიძლება პასუხს არ აგებდეს იმის გამო, რომ იგი შეურაცხადია. მაგალითად, ვინმე შეაგულიანებს სულით ავადმყოფს მოკლას კაცი. ამავე კატეგორიას ეკუთვნის შემთხვევები, როდესაც ვინმე აქეზებს მცირეწლოვანს, რომელიც პასუხისმგებელი არ არის დანაშაულის ჩადენისათვის.
3. შუალობითი ამსრულებლობა გვეჩვენება აგრეთვე იმ შემთხვევაშიც, როდესაც დამნაშვე შეცდომაში შეიყვანს „ცოცხალ იარაღს“ და ჩაადენინებს მას დანაშაულს. მაგალითად, ექთანი, ავადმყოფის მოკვლის განზრახვით გადასცემს მის მომვლელს სანამლავს, მაგრამ დაარწმუნებს, რომ ეს წამალია. ექთანი დაისჯება, როგორც მკვლელობის შუალობითი ამსრულებელი.
4. შუალობითი ამსრულებლის ერთ-ერთ შემთხვევას წარმოადგენს უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობის შექმნა, როდესაც „ცოცხალი იარაღი“ იძულებულია ჩაიდინოს დანაშაული, რათა ამით თავიდან აიცილოს უფრო მძიმე შედეგი. მაგალითად, ა. მოკვლის მუქარით აიძულებს ბ.-ს მოიპაროს სხვისი ნივთი. ის, ვინც აიძულა, თავისი მუქარით აყენებს მეორე პირს უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში, ვინაიდან სხვისი ნივთის მოპარვა წარმოადგენს მისთვის ერთადერთ საშუალებას თავი დაიხსნას სიკვდილისაგან, თანაც გადარჩენილი სიკეთე (სიცოცხლე) უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე დაზარალებული სიკეთე (ქონება). ასეთ შემთხვევაში „ცოცხალი იარაღი“ არ ისჯება, ვინაიდან უკიდურესი აუცილებლობა წარმოადგენს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ ერთ-ერთ გარემოებას. „შუალობითი ამსრულებლობა შესაძლებელია სხვა პირის მიმართ ძალადობის გამოყენებით, როდესაც ამ უკანასკნელს არა აქვს სხვაგვარად მოქმედების შესაძლებლობა“³⁸

საინტერესოა იმის გარკვევა, შეიძლება თუ არა შუალობითი ამსრულებლობა საკუთარი ხელით ჩასადენ დანაშაულში? ასეთი დანაშაულები სამი სახისაა: 1) წმინდა უმოქმედობის; 2) წმინდა მოქმედების და 3) შერეული სახის დანაშაულები.

წმინდა უმოქმედობის დანაშაული ყოველთვის რაიმე მოვალეობის შეუსრულებლობით გამოიხატება: მაგალითად, ალიმენტის გადახდისათვის ჯიუტად

³⁸ გ. ნაჭყებია, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2015, გვ. 280

თავის არიდება (176-ე მუხლი), გადასახადისათვის თავის არიდება (218-ე მუხლი) და სხვა. ეს დანაშაულები პერსონალური მოვალეობის შეუსრულებლობასთან არის დაკავშირებული, ამიტომ მათი შუალობითი ამსრულებლობა არ შეიძლება.

წმინდა მოქმედების დანაშაულია, მაგალითად, თავისუფლების აღკვეთის მოხდის ადგილიდან, პატიმრობიდან ან ბადრაგირებისას გაქცევა (379-ე მუხლი).

შერეული სახის, საკუთარი ხელით ჩასადენი დანაშაულებია სამხედრო ნაწილის ან სამსახურის სხვა ადგილის თვითნებური დატოვება (388-ე მუხლი), დეზერტირობა (389-ე მუხლი). 388-ე მუხლი პასუხისმგებლობას აწესებს არა მარტო სამხედრო ნაწილის თვითნებურად დატოვებისათვის, არამედ სამხედრო ნაწილში საპატიო მიზეზის გარეშე დროულად გამოუცხადებლობისათვის „ორ დღე-ღამეზე მეტი ხანგრძლივობით. 389-ე მუხლით დეზერტირობა გულისხმობს არა მარტო სამხედრო ნაწილის თვითნებურად დატოვებას, არამედ სამხედრო სამსახურისათვის თავის არიდების მიზნით სამსახურში გამოუცხადებლობას. სამივე დანაშაული, მიუხედავად ამისა, საკუთარი ხელით ჩასადენი დანაშაულია და ამიტომ მათი შუალობითი ამსრულებლობა არ შეიძლება. „შუალობითი ამსრულებლობა გამოირიცხება საპეციალურ დელიქტებში, ვალდებულების დელიქტებსა და საკუთარი ხელით ჩასადენ დელიქტებში“.³⁹

ვინაიდან შუალობითი ამსრულებელი იგივე ამსრულებელია, იგი დაისჯება ისევე, როგორც ამსრულებელი - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით, სხვა მუხლზე მითითება საჭირო არაა.

შესაძლებელია შუალობითი ამსრულებლობის ისეთი შემთხვევა, როცა შუალობითი ამსრულებელი თვით დანაშაულის მსხვერპლს გამოიყენებს „ცოცხალ იარაღად“ საკუთარი თავის წინააღმდეგ., ანუ ადგილი ჰქონდეს „ცოცხალი იარაღის“ და მსხვერპლის დამთხვევას. მაგალითად, ზ-მ მეზობელს განზრახ მისცა ვითომ ტკივილის გამაყუჩებელი წამალი, სინამდვილეში კი სანამლაფი მისი მოკვლის განზრახვით, მეზობელი ამ სანამლაფის მიღების შედეგად გარდაიცვალა. სისხლის

³⁹ გ. ტყეშელიაძე, და "სხვები". სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო. თბ., გამომც. "მერიდიანი", 2016. გვ. 186

სამართლის თეორიაში აღიარებული შეხედულების თანახმად, ასეთ შემთხვევაში მეზობელი არის „ცოცხალი იარაღი“, ხოლო ზ. -შუალობითი ამსრულებელი. „შესაძლებელია, რომ ბრალის გამომრიცხველ გარემოებაში მოქმედი „ცოცხალი იარაღი“ ამსრულებელმა საკუთარი თავის⁴⁰ წინააღმდეგ მიმართოს და დანაშაულის უშუალო ამსრულებელი და მსხვერპლი ერთმანეთს დაემთხვას. სისხლის სამართლის ლიტერატურაში აღიარებულია, რომ ამგვარ შემთხვევაში შუალობითი ამსრულებლობა გვექნება“.

სამართლებრივად პრობლემატურია ქმედების სწორი კვალიფიკაცია ისეთ შემთხვევაში, როდესაც უშუალო ამსრულებელი ცდება „ცოცხალი იარაღის“ შერაცხადობასთან ან ასაკთან დაკავშირებით. მაგალითად, როცა შუალობითი ამსრულებელი მისი წარმოდგენით დანაშაულის ჩასადენად იყენებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიუღწეველ პირს, მაშინ როდესაც ეს პირი რეალურად უკვე მიღწეულია ამ ასაკს და ფსიქიკურადაც ჯანმრთელია. ან მეორე ვარიანტი, როცა თანამონაწილე ცდება სუბიექტთან მიმართებაში და ჰგონია, რომ ის, ვისაც იგი აქეზებს ან ეხმარება, სრულად ჯდება სუბიექტის მიმართ სისხლის სამართლის კანონმდებლობის მოთხოვნებში, მაგრამ რეალურად ეს პირი მცირეწლოვანი ან სულიერად დაავადებული აღმოჩნდება.

ასეთ შემთხვევებთან მიმართებით სისხლის სამართალში არსებობს ერთმანეთისაგან დიამეტრალურად განსხვავებული სუბიექტური და ობიექტური თეორიები.

სუბიექტური თეორიის მომხრეა ოთარ გამყრელიძე, მისი განმარტებით, როცა თანამონაწილე თვლის, რომ აქეზებს ან ეხმარება სულით ავადმყოფს, სინამდვილეში კი უშუალო ამსრულებელი შერაცხავაუნარიანია და შეუძლია პასუხი აგოს ჩადენილი ქმედებისათვის, იგი პასუხისმგებლობის საკითხს თანამონაწილის სუბიექტური წამოდგენის მიხედვით წყვეტს, მისი აზრით იგი უნდა დაისაჯოს როგორც შუალობითი ამსრულებელი, ხოლო მეორე მაგალითის შემთხვევაში ასეთი მოქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს თანამონაწილეობად. ოთარ გამყრელიძის

⁴⁰ გ. ტყეშელაიძე და „სხვები“. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო. თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2016.გვ. 182

პოზიციით გადაწყვეტილება კვალიფიკაციაზე მიღებულ უნდა იქნეს არა ფაქტობრივი მდგომარეობით, არამედ თანამონაწილის წარმოდგენის მიხედვით.⁴¹

ობიექტური თეორიის მიხედვით, მიუხედავად წამქეზებლის წარმოდგენისა, როცა „ცოცხალი იარაღი“ შერაცხადია და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეულია, წამქეზებელი დაისჯება არა როგორც შუალობითი ამსრულებელი, არამედ როგორც თანამონაწილე. ამ პოზიციას ემხრობა პროფ. მერაბ ტურავა და განმარტავს, რომ „ქართული სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე მუხლიდან გამომდინარე, დაუსაბუთებლად უნდა იქნეს მიჩნეული პირის დასჯა შუალობითი ამსრულებლობისათვის თანამონაწილის სუბიექტური წარმოდგენის მიხედვით, როცა დანაშაულს ობიექტურად ჰყავს ჩვეულებრივი ამსრულებელი. „სხვა პირის მეშვეობით“ დანაშაულის ჩადენა ნიშნავს მის გამოყენებას ცოცხალი იარაღის სახით და მოითხოვს პირის შეურაცხაობას ან მის ნებაზე ბატონობას (ე.წ. „ქმედებაზე ბატონობის თეორია“).“⁴²

„გერმანულ სისხლის სამართალში ამ საკითხს სხვადასხვაგვარად წყვეტენ. იმ შემთხვევაში, როდესაც პირი ობიექტურად შუალობითი ამსრულებელია, თავად კი თავი წამქეზებელი ჰგონია, წამქეზებლის მცდელობად აკვალიფიცირებენ. იმ შემთხვევაში კი, როდესაც პირს თავი შუალობითი ამსრულებელი ჰგონია - წამქეზებლობად, რადგან შუალობითი ამსრულებლობის განზრახვა წამქეზებლობის განზრახვას მოიცავს. გამოთქმულია შეხედულება იმის შესახებაც, რომ ამგვარ შემთხვევებში ქმედება შუალობით ამსრულებლობის მცდელობად უნდა დაკვალიფიცირდეს.“⁴³

შუალობითი ამსრულებლობა გამორიცხულია სპეციალურ დელიქტებში, ვალდებულების დელიქტებში და საკუთარი ხელით ჩასადენ დელიქტებში.

სპეციალური დანაშაულის ამსრულებელი და თანამსრულებელი შეიძლება იყოს მხოლოდ ის პირი, ვინც სპეციალური სუბიექტია, ვინაიდან სპეციალური

⁴¹ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, ტ. III, თბ., გამომც. „საკანონმდებლო მაცნე“, 2013, გვ. 267

⁴²მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, თბ., 2013, გვ. 329-330

⁴³გ. ტყეშელაშვილი და „სხვები“ სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, (სახელმძღვანელი), (რედ.: გ. ნაჭყებია; ნ. თოდუა), თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2016, გვ. 195

სუბიექტი არ შეიძლება იყოს „ცოცხალი იარაღი“. არასპეციალურ პირს არ შეუძლია სამოხელეო, სამხედრო ან სხვა ანალოგიური დანაშაულის ჩადენა. „თუ წამქეზებელი სპეციალური სუბიექტია, ხოლო წაქეზებელი - არასპეციალური, მაშინ პირველი შუალობითი ამსრულებელია, ხოლო მეორე - თანამონაწილე, როგორც დანაშაულის ფიზიკური ამსრულებელი.“⁴⁴

ვალდებულების დელიქტებში ამსრულებელი შეიძლება იყოს მხოლოდ ის პირი, ვისაც ეს ვალდებულება აკისრია (მაგალითად ალიმენტის გადაუხდელობის ამსრულებელი მხოლოდ ის პირი შეიძლება იყოს, რომელსაც მისი გადახდის ვალდებულება აკისრია). აქედან გამომდინარეა, ასეთი დელიქტის შუალობითი ამსრულებლობა გამოირიცხება.

შუალობითი ამსრულებლობა შეუძლებელია, თუ საქმე ეხება საკუთარი ხელით ჩასადენ დელიქტებს (მაგალითად, დახმარების აღმოუჩენლობა).

დანაშაულის შუალობითი ამსრულებლობა მხოლოდ პირდაპირი განზრახვითაა შესაძლებელი. დანაშაულის შუალობითი ამსრულებელი არ შეიძლება ეგვანტუალური განზრახვით ან გაუფრთხილებლობით მოქმედებდეს, რადგან სხვა პირის ნებაზე ბატონობა სურვილის გარეშე შეუძლებელია. „პირი, რომელიც თავისი დანაშაულებრივი მიზნის მისაღწევად მცირეწლოვანს ან სულიერად დაავადებულ პირს იყენებს, მოქმედებს განზრახ და, მაშასადამე, დანაშაულის შუალობითი ამსრულებელია, რადგან ამ შემთხვევაში დანაშაულის შემადგენლობის ობიექტური მხარე „იარაღად“ გამოყენებული პირის მოქმედების მეშვეობით ხორციელდება. ცხადია, დანაშაულის ამ ხერხით ჩადენისათვის პასუხისმგებელია მხოლოდ შუალობითი ამსრულებელი, რადგან დანაშაულის ჩასადენად გამოყენებული „ცოცხალი იარაღი“ დანაშაულის თანამონაწილე ვერ იქნება.“⁴⁵

ამრიგად, შუალობითი ამსრულებლობა დანაშაულში თანამონაწილეობის ფორმას არ წარმოადგენს. შუალობითი ამსრულებელი არის ერთპიროვნულად

⁴⁴გ. ნაჭყებია, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2015, გვ. 279

⁴⁵ნაჭყებია გ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2015, გვ. 279

მოქმედი პირი, რომელიც თავისი დანაშაულებრივი მიზნის მისაღწევად “იარაღად“ იყენებს სხვა პირის შეურაცხაობას ან მიუტევებელ შეცდომას და ამ გზით ახორციელებს სისხლის სამართლის კანონით აკრძალულ დანაშაულებრივ ქმედებას, თუმცა შესაძლებელია შუალობითი ამსრულებლობა განახორციელოს ორმა ან მეტმა პირმაც.

2.3. დანაშაულის ამსრულებლისა და თანამონაწილის

ურთიერთგამიჯვნა

ამსრულებლისა და თანამონაწილის გამიჯვნა პრობლემური და სადავო საკითხია როგორც დოქტრინაში, ისე სასამართლო პრაქტიკაში. მასზე შექმნილია სხვადასხვა თეორია.

მაგალითად, ფორმალურ-ობიექტური თეორია, რომლის მიხედვითაც ამსრულებელია ის, ვინც მთლიანად ან ნაწილობრივ უშუალოდ ასრულებს ქმედებას (დანაშაულის) ობიექტურ შემადგენლობას. ხოლო თანამონაწილეა ის, ვინც დანაშაულის ობიექტურ შემადგენლობაში არ იღებს უშუალო მონაწილეობას, არამედ სხვაგვარად განაპირობებს დანაშაულის ჩადენას (უწევს ორგანიზებას, იყოლიებს ამსრულებელს ან ეხმარება მას). ამსრულებელია ასევე ის, ვინც სხვა პირის - ცოცხალი იარაღის მეშვეობით ასრულებს დანაშაულის ობიექტურ შემადგენლობას (შუალობითი ამსრულებელი). ამ დროს „ცოცხალი იარაღს“ ან

საერთოდ არ ეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, ან შესაძლოა დაეკისროს მხოლოდ გაუფრთხილებლობისათვის;

სუბიექტური თეორია, რომლის მიხედვითაც ამსრულებელია ის, ვინც მოქმედებს ამსრულებლის ნებით და ქმედებას, როგორც საკუთარს ახორციელებს. ხოლო თანამონაწილეა ის, ვინც ქმედებას ახორციელებს, როგორც სხვისას. ამდენად, ამ თეორიით ამსრულებლობისათვის მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ ვინ ასრულებს დანაშაულის ობიექტურ შემადგენლობას, არამედ ამსრულებელია ის ვისაც ეს ქმედება სურს, როგორც საკუთარი. ამ დროს შესაძლოა, თავად უშუალოდ არც ასრულებდეს დანაშაულის ობიექტურ შემადგენლობას. ხოლო თანამონაწილეა ის, ვისაც ეს ქმედება სურს, როგორც ვისი (მაგალითად: გერმანიაში მომხდარი ე.წ. „აბაზანის შემთხვევა“).

მატერიალურ-ობიექტური თეორია, ანუ ფინალურ ობიექტური თეორია, რომლის საფუძველზეც განვითარდა ე.წ. ქმედებაზე ბატონობის თეორია. ამ თეორიის მიხედვით ქმედებაზე ბატონობა სამი ფორმით ვლინდება: 1. უშუალო ამსრულებლობა, როცა პირი უშუალოდ ასრულებს ქმედების შემადგენლობის ყველა ნიშანს; 2. შუალობითი ამსრულებლობა, როცა პირი ქმედებას სჩადის სხვა პირის მეშვეობით. ამ დროს ეს სხვა პირი შესაძლოა მოქმედებდეს სრული დელიქტუარიალობით (მათ შორის განზრახვაც); 3. თანაამსრულებელია ისიც, ვინც მართალია, უშუალო მონაწილეობა არ მიუღია ქმედების ობიექტური შემადგენლობის განხორციელებაში, მაგრამ ფუნქციონალურად დაკავშირებული იყო ქმედების შემადგენლობის განხორციელების უშუალო პროცესთან (მაგალითად, კორპუსის გარეთ დარაჯად დგომის ფაქტით).

პროფ. მ. ტურავა მიიჩნევს, რომ სისხლის სამართალში განვითარებული ე.წ. ფუნქციონალური თეორია გამოიყენება იმ თანაამსრულებლის მიმართ, რომელსაც უშუალო მონაწილეობა არ მიუღია ქმედების ობიექტური შემადგენლობის განხორციელებაში. მისი აზრით, თანაამსრულებლობის ინტერპრეტაცია ფორმალურ-ობიექტური თეორიის მიხედვით მოძველებულია, რადგან, თანამედროვე გაგებით, დანაშაულის ჩადენაში უშუალოდ მონაწილეობს ისიც, ვინც დანაშაულის ჩადენის უშუალო პროცესში ხელს უწყობს ამსრულებელს და

უადვილებს მას ქმედების შემადგენლობის განხორციელებას. ასეთი პირი არ შეიძლება იყოს უბრალოდ მხოლოდ დამხმარე, არამედ იგი ფუნქციონალური ამსრულებელია.⁴⁶ განსხვავებულ მოსაზრებას ავითარებს პროფ. თ. წერეთელი. მისი აზრით, თანაამსრულებლად არ ჩაითვლება ის, ვინც, თუმცა დანაშაულის ჩადენის დროს მოქმედებს, მაგრამ დანაშაულის შემადგენლობას უშუალოდ არ ახორციელებს. მაგალითად, ვინც დანაშაულის ჩადენისას სადარაჯოზე დგას, ან ვინც დანაშაულის ჩადენისას დაბრკოლებას აცილებს ამსრულებელს დანაშაულის ბოლომდემიყვანისათვის.⁴⁷ პროფ. თ. გამყრელიძე ასევე მიიჩნევს, რომ საქართველოს სსკ-ის 22-ე მუხლის ჩანაწერი „სხვასთან ერთად უშუალოდ მონაწილეობდა დანაშაულის ჩადენაში“ ნიშნავს კოდექსის კერძო ნაწილის მუხლით აღწერილი ქმედების შემადგენლობის უშუალოდ განხორციელებას. ამდენად, თანაამსრულებლობა იგივე ამსრულებლობაა.⁴⁸ ამავე მოსაზრებაზე დგას პროფ. გ. ნაჭყებია.⁴⁹

ეს უკანასკნელი მოსაზრებები სწორად უნდა ჩაითვალოს, რადგან თანაამსრულებელი სსკ 22-ე მუხლის მიხედვით უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნას:

ა) სხვასთან ერთად უნდა მონაწილეობდეს დანაშაულის ჩადენაში და ბ) უშუალოდ უნდა მონაწილეობდეს დანაშაულის ჩადენაში.

ამდენად, ორი ან მეტი პირი თანაამსრულებლად რომ ჩაითვალოს, ამ ორ ნიშანს უნდა აკმაყოფილებდეს არა მარტო ერთი პირი, არამედ მეორეც, ე.ი. ამ ნიშნებს უნდა აკმაყოფილებდეს ორივე.

უნდა ითქვას, რომ დოქტრინაში დასმული საკითხი განხილული არ ყოფილა დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის ინსტიტუტთან შეპირისპირების გზით. არადა მომზადებისა და მცდელობის გამიჯვნა სწორედ, რომ არის ის გასაღები, რაც დაგვეხმარება ამსრულებლისა და თანამონაწილის გამიჯვნაში. ამ საკითხზე იურიდიულ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა. მაგალითად, პროფ.

⁴⁶ მ. ტურავა, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2010, გვ. 271

⁴⁷ თ. წერეთელი, სისხლის სამართლის პრობლემები, მე-2 ტომი, თბ., 2007, გვ. 135-137

⁴⁸ თ. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, მე-3 ტომი, თბ., 2013, გვ. 261

⁴⁹ გ. ნაჭყებია, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2007, გვ. 206-208

თ. წერეთელი მიიჩნევდა, რომ მომზადებად უნდა ჩაითვალოს მოქმედება, რაც წინ უძღვის დანაშაულის შემადგენლობის უშუალოდ განხორციელებას, როცა ეს ქმედება ახლოსაა დანაშაულის მცდელობასთან.⁵⁰ მისი აზრით, მომზადებისას პირი არ ახორციელებს დანაშაულის ობიექტურ შემადგენლობას. ამიტომ იარაღის შექმნა მკვლელობისათვის, ანდა დანაშაულის ჩადენის ადგილის დათვალიერება არაა მკვლელობის შემადგენლობის დასაწყისი. მოსამზადებელი მოქმედება წარმოადგენს პირობების შექმნას დანაშაულის ჩასადენად, ე.ი. ისეთი მოქმედების ჩადენას, რომელიც შემდგომში უზრუნველყოფს ან აადვილებს დანაშაულის ჩადენას, მაგრამ თავისთავად მოსამზადებელი მოქმედება

ჯერ კიდევ არ არის სს კოდექსის კერძო ნაწილის მუხლში გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობის განხორციელება. ქართველ მეცნიერთა ნაწილიც ამ აზრზეა. მაგალითად, პროფ. მ. ტურავას აზრით, მომზადების სტადიაზე პირს ჯერ კიდევ არ დაუწყია დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის განხორციელება, არამედ მხოლოდ პირობები მოამზადა მისი ჩადენისათვის, რომელიც ყოველთვის შეიძლება უკან წაიღოს ისე, რომ სამართლებრივ სიკეთეს არავითარი ზიანი არ მიაღწეს.⁵¹

განსხვავებულ პოზიციაზე დგას პროფ. ო. გამყრელიძე, რომელიც მიიჩნევს, რომ, თუკი მომზადებისას მოქმედება არ ქმნის ქმედების (დანაშაულის) შემადგენლობას, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენი სისხლის სამართალი ქმედების სამართალი არ ყოფილა და რომ ადამიანი შეიძლება დავსაჯოთ აზრის გამოთქმისათვის. თუკი კანონმდებელმა დასჯადად გამოაცხადა კაცის მოკვლის მიზნით იარაღის ან საშუალების დამზადება, მაშინ ეს მკვლელობის შემადგენლობის ნიშნად უნდა ვაღიაროთ.⁵²

ამ მოსაზრებას ვერ დავეთანხმები რამდენიმე გარემოების გამო: ჯერ ერთი, როცა მომზადებას არ მივიჩნევთ დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის ნიშნად, აქედან სრულებითაც არ გამომდინარეობს, რომ სისხლის სამართალი არაა

⁵⁰ თ. წერეთელი, დანაშაულის მომზადება და მცდელობა, თბ., 1961, გვ. 88.

⁵¹ მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2013, გვ. 301.

⁵² ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, მე-3 ტომი, თბ., 2013, გვ. 239.

ქმედების სამართალი, არამედ იგი აზრის სამართალია, რადგან მომზადება შეუძლებელია აზრის გამოთქმით, იგი გარკვეული ქმედების განხორციელება, თუკი მოსამზადებელი ქმედებებიც შედის დანაშაულის შემადგენლობაში, მაშინ რატომ უქმნის იგი სამართლით დაცულ სიკეთეს მხოლოდ სამომავლო საფრთხეს, რის გამოც ეგზომ სადავოა მისი დასჯადობის საკითხი? ცნობილია, რომ ქართულ სისხლის სამართლის დოქტრინაშიც XX საუკუნის 60-იანი წლებიდან აკრიტიკებდნენ დანაშაულის მომზადების პრინციპულ დასჯადობას სწორედ იმ არგუმენტით, რომ ამ დროს ჯერ კიდევ არაა დაწყებული სისხლის სამართლის კერძო ნაწილში გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობის განხორციელება და ამდენად, ეს ქმედება კონკრეტული დანაშაულის განხორციელების რეალურ საფრთხეს ჯერ არ ქმნის. ამასთანავე, ადამიანმა შეიძლება კონკრეტული დანაშაული მოამზადოს, მაგრამ შემდეგ გადაიფიქროს. ამიტომ კონკრეტული მოსამზადებელი ქმედებები მხოლოდ განხორციელებითაა შესაძლებელი; მეორეც, თუკი მოსამზადებელი ქმედებებიც შედის დანაშაულის შემადგენლობაში, მაშინ რატომ უქმნის იგი სამართლით დაცულ სიკეთეს მხოლოდ სამომავლო საფრთხეს, რის გამოც ეგზომ სადავოა მისი დასჯადობის საკითხი? ცნობილია, რომ ქართულ სისხლის სამართლის დოქტრინაშიც XX საუკუნის 60-იანი წლებიდან აკრიტიკებდნენ დანაშაულის მომზადების პრინციპულ დასჯადობას სწორედ იმ არგუმენტით, რომ ამ დროს ჯერ კიდევ არაა დაწყებული სისხლის სამართლის კერძო ნაწილში გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობის განხორციელება და ამდენად, ეს ქმედება კონკრეტული დანაშაულის განხორციელების რეალურ საფრთხეს ჯერ არ ქმნის. ამასთანავე, ადამიანმა შეიძლება კონკრეტული დანაშაული მოამზადოს, მაგრამ შემდეგ გადაიფიქროს. ამიტომ კონკრეტული მოსამზადებელი ქმედებები მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის ცალკეული მუხლებით უნდა გათვალისწინდნენ, როგორც დამთავრებული დანაშაული.⁵³

მესამე, თუკი მომზადებაც დანაშაულის შემადგენლობის ნიშანია, მაშინ გამოდის, რომ დანაშაულის შემადგენლობის ობიექტური ნიშნები უნდა დაიცოს ორ ნაწილად: 1. ობიექტური შემადგენლობის ისეთი ნიშანი, რაც მხოლოდ შორეულ

⁵³ თ. წერეთელი, დანაშაულის მომზადება და მცდელობა, თბ., 1961. გვ. 90, 93

საფრთხეს უქმნის სამართლის დაცულ სიკეთეს და 2. ობიექტური შემადგენლობის ნიშანი, რაც მას იმნუთიერ საფრთხეს უქმნის;

მეოთხე, თუკი მომზადებასაც ვაღიარებთ დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის ნიშნად, მაშინ ისმის კითხვა: რით განსხვავდება ერთმანეთისაგან მომზადება როგორც დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის ნიშანი და დაუმთავრებელი მცდელობა, რომელიც ნამდვილად არის დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის ნიშანი?

აქ პასუხი შეიძლება მხოლოდ ერთი იყოს: მომზადება არ გვაძლევს დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის არც ერთ ნიშანს, იგი მხოლოდ პირობებს ქმნის მის განსახორციელებლად. ხოლო დაუმთავრებელი მცდელობისას უკვე დაწყებულია დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის განხორციელება.

ჩნდება კითხვა: რა მნიშვნელობა აქვს ამ საკითხის გადაწყვეტას – (ჩადენილი ქმედება მომზადებაა თუ მცდელობა) თანამონაწილეობისა და ამსრულებლობის გამიჯვნისათვის?

განვიხილოთ ეს საკითხი რამდენიმე მაგალითზე. მაგალითები კი დავყოთ იმის მიხედვით, სახეზეა შედეგიანი (მატერიალური) თუ შედეგგარეშე (ფორმალური) დანაშაული, რადგან ამ ფაქტსაც (ანუ დანაშაულის დამთავრების მომენტსაც) გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება მომზადებისა და მცდელობის გამიჯვნის საქმეში.

დავინყოთ შედეგიანი დანაშაულით. განვიხილოთ რამდენიმე შემთხვევა:

პირველი მაგალითი: პეტრემ ქურდობის მიზნით სხვისი სახლის ფანჯარას კიბე მიადგა, მაგრამ კიბეზე ასვლა და ფანჯრის გაღება ჯერ არ ჰქონდა დაწყებული. საქართველოში, სადაც დანაშაულის მომზადება დასჯადი სტადიაა, ეს შემთხვევა ქურდობის მომზადებაა და არა მცდელობა. ხოლო ფანჯრის გაღების დაწყება უკვე ქურდობის მცდელობაა, კერძოდ, დაუმთავრებელი მცდელობა, რადგან ამ შემთხვევაში დაწყებულია ქურდობის კვალიფიციური შემადგენლობის (ქურდობა ბინაში უკანონო შეღწევით) განხორციელება.

მეორე მაგალითი: პეტრე ბინის შესასვლელთან მივიდა ქურდობის მიზნით. ეს სტადია ქურდობის მომზადებაა და არა მცდელობა.

მესამე მაგალითი: პეტრე ბინასთან მივიდა მკვლელობის ჩასადენად. საქართველოში ეს შემთხვევა მკვლელობის მომზადებაა და არა მისი მცდელობა, რადგან ჯერ არაა დაწყებული მკვლელობის ობიექტური შემადგენლობის რომელიმე ნიშნის განხორციელება. გადავიტანოთ ეს მაგალითები რამდენიმე პირზე. მაგალითად:

ა) პირველი შემთხვევა: პეტრე და პავლე გაემართნენ სხვისი ბინის გასაქურდად. პეტრემ ბინის ფანჯარას მიადგა კიბე, ხოლო პავლე ავიდა ამ კიბეზე, შეაღწია ბინაში და გაქურდა იგი;

ბ) მეორე შემთხვევა: პეტრე დადგა ბინის შესასვლელთან, ხოლო პავლე შევიდა ბინაში და გაქურდა იგი.

გ) მესამე შემთხვევა: პეტრე და პავლე გაემართნენ ივანეს მოსაკლავად. პეტრე დადგა ივანეს სახლის შესასვლელთან, ხოლო პავლე შევიდა ბინაში და მოკლა ივანე.

ისმის კითხვა: პირველ და მეორე შემთხვევაში ქურდობა ჩადენილია თანამსრულებლების მიერ, თუ ადგილი აქვს თანამონაწილეობით ჩადენილ ქურდობას? სხვაგვარად რომ ვთქვათ, ესაა ქურდობა დამამძიმებელ გარემოებაში - წინასწარ შეთანხმებით ჯგუფის მიერ, თუ ქურდობის ამსრულებელია მხოლოდ პავლე, რომელიც შევიდა ბინაში და გაქურდა იგი, ხოლო პეტრე არის თანამონაწილე (დამხმარე)?

იგივე კითხვა ისმის მკვლელობის მიმართ - ეს მკვლელობა ჩადენილია თანამსრულებლობით თუ სახეზეა თანამონაწილეობით ჩადენილი მკვლელობა. კერძოდ, სახეზეა მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში, როგორც ჩადენილი ჯგუფურად, თუ ამ მკვლელობის ამსრულებელი მხოლოდ პავლეა, ხოლო პეტრე, რომელიც კართან დადგა, არის თანამონაწილე მარტივ მკვლელობაში, კერძოდ, დამხმარე?

პასუხი ასეთი უნდა იყოს: ქართულ სინამდვილეში, აქ მხოლოდ პავლეა ამსრულებელი, რადგან უშუალოდ იგი სჩადის ქურდობას. ხოლო პეტრე თანამონაწილეა, რადგან მას ქურდობის ობიექტური შემადგენლობის არც ერთი ნიშანი არ განუხორციელებია, მან მხოლოდ პირობა შექმნა ქურდობისათვის

ფანჯარაზე კიბის მიდგმით, ხოლო მეორე შემთხვევაში კარებთან მისვლით. ამდენად, სახეზე არაა ქურდობა ჩადენილი წინასწარ შეთანხმებით ჯგუფის მიერ.

მესამე მაგალითშიც ასევე მკვლელობის ამსრულებელია მხოლოდ პავლე, რომელმაც უშუალოდ მოკლა მსხვერპლი, ხოლო პეტრე არის ამ მკვლელობის თანამონაწილე, კერძოდ, - დამხმარე (საქმის ფაქტობრივი გარემოების მიხედვით, ფიზიკური ან ფსიქიკური დამხმარე). იგი ფსიქიკური დამხმარე იქნება, თუკი კართან დგომით მისი ფუნქცია იყო გაემხნეებინა პავლე იმის წინასწარი შეპირებით, რომ საფრთხის შემთხვევაში მისცემდა მას ნიშანს. ამდენად, ეს მკვლელობა არაა ჩადენილი ჯგუფურად, არამედ სახეზეა მარტივი მკვლელობა, ჩადენილი თანამონაწილეობით.⁵⁴

იგივე მაგალითები შევცვალოთ ასეთნაირად: შემთხვევა პირველი: პეტრე და პავლე ბინის გაქურდვის მიზნით შეიპარნენ სხვის ბინაში. პეტრემ გახსნა სეიფი, აიღო ფული, ჩაღო ჩანთაში და ორივენი გამოვიდნენ ბინიდან.

პავლე ამ დროს მის გვერდით იდგა, მაგრამ ჩამოთვლილთაგან არც ერთ ქმედებაში მონაწილეობა არ მიუღია. იგი მხოლოდ შევიდა ბინაში პეტრესთან ერთად და გამოვიდა მასთან ერთად.

შემთხვევა მეორე: პეტრე და პავლე შეიპარნენ სხვის ბინაში მკვლელობის ჩასადენად. პეტრე მიეპარა მსხვერპლს, ამოიღო იარაღი და მოკლა იგი, რა დროსაც პავლეს მის გვერდით იდგა.

ისმის კითხვა: ეს დანაშაული ჩადენილია თანაამსრულებლობით (ე.ი. ჯგუფურად), თუ სახეზეა ერთი ამსრულებელი, ხოლო მეორე არის თანამონაწილე? პასუხი უნდა იყოს შემდეგნაირი: პირველ მაგალითში, როცა პეტრე და პავლე ბინაში შევიდნენ ქურდობის მიზნით, იმის მიუხედავად, რომ პავლეს ბინაში არანაირი მოქმედება არ ჩაუდენია, სახეზეა ქურდობა ბინაში შეღწევითა და ასევე ჩადენილი თანაამსრულებლობით. კერძოდ, წინასწარ შეთანხმებით ჯგუფურად. რატომ? იმიტომ, რომ ქურდობის მიზნით ბინაში შეღწევა არის ქურდობის არა მომზადება, არამედ მისი მცდელობა, რადგან ამ დროს სხვის ქონებრივ უფლებას უკვე უშუალო

⁵⁴ თანაამსრულებლობისა და თანამონაწილეობის გამიჯვნის საკითხი, სახელმძღვანელო იურისტებისათვის, თბ., 2015, გვ. 7

საფრთხე ექმნება. გარდა ამისა, სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის ერთ-ერთი დამამძიმებელი გარემოებაა, მისი ჩადენა ბინაში უკანონო შეღწევით.⁵⁵

ამდენად, შეღწევის ფაქტი უკვე გვაძლევს ქურდობის ამ დამამძიმებელი გარემოების ობიექტურ შემადგენლობას. შესაბამისად, ქურდობის ობიექტურ შემადგენლობას აქ ახორციელებდა არა მარტო პეტრე, რომელმაც გახსნა სეიფი და აიღო ფული (დამთავრებული მცდელობა), არამედ პავლეც, რომელმაც უკანონოდ შეაღწია ბინაში (დაუმთავრებელი მცდელობა).

მეორე მაგალითში, როცა პეტრე და პავლე შევიდნენ სხვის ბინაში მკვლელობის ჩასადენად, აქ სახეზე არაა თანამსრულებლობა. ამდენად, მკვლელობა არაა ჩადენილი ჯგუფურად. მკვლელობის ამსრულებელია პეტრე, რომელმაც იარაღით მოკლა მსხვერპლი. პავლე კი არის თანამონაწილე, კერძოდ, ფსიქიკური დამხმარე. რატომ? ეს იმიტომ, რომ მკვლელობის მიზნით ბინაში (ან სხვა დაცულ ობიექტში) შეღწევა არ გვაძლევს მკვლელობის მცდელობის სტადიას, არამედ სახეზეა მისი მომზადება, რადგანაც ეს ქმედება, განსხვავებით ქურდობის ანალოგიური შემთხვევისაგან, არ გვაძლევს მკვლელობის ობიექტური შემადგენლობის არც ერთ ნიშანს. აქედან გამომდინარე, პეტრეს მიერ ჩადენილი მკვლელობა დაკვალიფიცირდება, როგორც მარტივი მკვლელობა (თუ სახეზე არ იყო სხვა რაიმე დამამძიმებელი გარემოება), ხოლო პავლე არის ამ მკვლელობის თანამონაწილე (25-ე, 108-ე მუხლი).

⁵⁵ თანამსრულებლობისა და თანამონაწილეობის გამიჯვნის საკითხი, სახელმძღვანელო იურისტებისათვის, თბ., 2015, გვ. 7

თავი III. კვლევის შედეგი

ჩემს მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა რომ ამსრულებელია ის ვინც უშუალოდ ჩაიდინა დანაშაული ან სხვასთან ერთად უშუალოდ მონაწილეობდა მის ჩადენაში , აგრეთვე ის ვინც დანაშაული ჩაიდინა სხვა ისეთი პირის მეშვეობით რომელსაც ამ კოდექსის მიხედვით ასაკის შეურაცხყოფის ან სხვა გარემოების გამო არ დაეკისრება სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა.

სსკ 22-ე მუხლში გათვალისწინებული არის ის, რომ არსებობს დანაშაულის ამსრულებლობის სამი სახე: დანაშაულის უშუალო ამსრულებელი თანამსრულებელი და შუალობითი ამსრულებელი.

სისხლის სამართლის ზოგად ნაწილში განასხვავებენ თანამონაწილეობის ორ სახეს კერძოდ: თანამონაწილეობას ფართო და ვიწრო გაგებით. ფართო გაგებით თანამონაწილეობა გულისხმობს თანამონაწილეობის როლების დაუნაწილებლად რომლის მიხედვითაც ამსრულებელი შეიძლება იყოს თანამონაწილეც. სსკ-ის 22-ე მიხედვით თანამსრულებელია ვინც სხვასთან ერთად მონაწილეობდა დანაშაულის ჩადენაში. ხოლო დანაშაულის ჩადენა ნიშნავს კოდექსის კერძო ნაწილის მუხლით აღწერილ ქმედების შემადგენლობის უშუალო ასრულებას. და შესაბამისად თანამსრულებლობა იგივე ამსრულებლობაა. თანამსრულებელია ის ვინც მაგალითად პირს ეხმარება ადამიანის გაუპატიურებაში . ასევე თანამსრულებელია ის პირიც ვინც ადამიანს ეხმარება ქურდობაში ,და არ უნდა მიითვისოს მას ის საგანი. თანამსრულებლის არსი იმაში მდგომარეობს რომ ისინი ერთმანეთის მეშვეობით ახორცილებენ მართლსაწინააღმდეგო შედეგს და მათ ეს გაცნობიერებული აქვთ. ხოლო თანამსრულებლის დროს თითოეული მონაწილე პასუხს აგებს როგორც დანაშაულის ამსრულებელი კონკრეტული და თანამსრულებლის მოქმედება დაკვალიფიცირდება სსკ-ის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით .

ასევე არსებობს დანაშაულის ამსრულებლის მეორე სახეც, ეს არის უშუალო ამსრულებელი. უშუალო ამსრულებელს ვუწოდებთ ისეთ ამსრულებელს რომელიც თვითონ, მართო ახორცილებს ნებისმიერ ქმედებას. მაგალითად : ამსრულებელი ანუ დამნაშავე მართო შევიდეს ბინაში ქურდობის მიზნით , ასევე თუ აქვს ვინმეს მოკვლის სურვილი და განზრახვა სანამლავი ჩაუყაროს ღვინოში ჩაიდინოს ასევე ყაჩაღობა და სხვ.

სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე მუხლში გათვალისწინებული არის ის რომ არსებობს შუალობითი ამსრულებლობაც . რას ნიშნავს შუალობითი ამსრულებლობა ? შუალობით ამსრულებლობას ვუწოდებთ ისეთ ამსრულებელს როდესაც დამნაშავე დანაშაულს ჩაიდენს იმ ადამიანის მეშვეობით, რომელსაც პასუხისმგებლობა არ დაეკისრება სხვადასხვა გარემოებების გამო. რა შემთხვევაში

არ დაეკისრება პასუხისმგებლობა იმ პირს რომელის დახმარებითაც უშუალო პირი იდენს დანაშაულს? პასუხისმგებლობა იმ შემთხვევაში არ ეკისრება პირს როდესაც ის არის შეურაცხადი ან არის იმ ასაკს მიღწეული პირი რომელიც შეიძლება მივცეთ სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობაში. ასეთ შემთხვევაში პირი მეორე შეურაცხად პირს იყენებს დანაშაულის ჩადენის ბრმა იარაღად. შუალობითი ამსრულებლობა ყოველთვის განზრახვი მოქმედებაა ხოლო ამ შემთხვევაში განზრახვა მხოლოდ პირდაპირია.

კვლევამ აჩვენა რომ ამსრულებლისა და თანამონაწილის გამიჯვნა პრობლემური და სადაო საკითხია როგორც დოქტრინაში, ისე სასამართლო პრაქტიკაში. მასზე შექმნილია სხვადასხვა თეორია.

ფორმალურ-ობიექტური თეორია, რომლის მიხედვითაც ამსრულებელია ის, ვინც მთლიანად ან ნაწილობრივ უშუალოდ ასრულებს ქმედების (დანაშაულის) ობიექტურ შემადგენლობას. ხოლო თანამონაწილეა ის, ვინც დანაშაულის ობიექტურ შემადგენლობაში არ იღებს უშუალო მონაწილეობას, არამედ სხვაგვარად განაპირობებს დანაშაულის ჩადენას (უწევს ორგანიზებას, იყოლიებს ამსრულებელს ან ეხმარება მას).

სუბიექტური თეორიის მიხედვით ამსრულებლისათვის მნიშვნელობა არ აქვს იმას, თუ ვინ ასრულებს დანაშაულის ობიექტურ შემადგენლობას, არამედ ამსრულებელია ის, ვისაც ეს ქმედება სურს, როგორც საკუთარი. ამ დროს შესაძლოა, თავად უშუალოდ არც ასრულებდეს დანაშაულის ობიექტურ შემადგენლობას. ხოლო თანამონაწილეა ის, ვისაც ეს ქმედება სურს, როგორც სხვისი (მაგალითად, გერმანიაში მომხდარი ე.წ. „აბაზანის შემთხვევა“

და ბოლო თეორია

მატერიალურ-ობიექტური, ანუ ფინალურ-ობიექტური თეორია, რომლის საფუძველზეც განვითარდა ე.წ. ქმედებაზე ბატონობის თეორია.

თითოეულ ამ თეორიას, რომელიც განსხვავებულად წყვეტს ამსრულებლისა და თანამონაწილის საკითხის, თავისი მომხრე და მოწინააღმდეგე ჰყავს როგორც საქართველოში, ისე სხვა ქვეყნებში.

ასევე კვლევის შედეგად დადგინდა მომზადებასა და მცდელობის გამიჯვნის დროს თანაამსრულებლისა და თანამონაწილის გამიჯვნის პრობლემა რომელიც სისხლის სამართლის მეცნიერები თავიანთ ნაშრომებში განიხილავენ სხვადასხვა მოსაზრებებს ამ საკითხის მიმართ. რაც ჩემს თემაში დეტალურად მაქვს განხილული.

ჩემი თემის მუშაობის დროს პრობლემატური საკითხი აღმოჩნდა ჯგუფური დანაშაულისა და წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის საკითხი ამსრულებლის დრო

დასკვნა

განვიხილე თემა რომელიც შეეხება დანაშაულის ამსრულებლობას. შევეცადე მომეპოვებინა ამომწურავი ინფორმაცია რომელიც თვალსაჩინოდ წარმოაჩინდა

ზოგადად ამ საკითხს. რას წარმოადგენს და რას ნიშნავს დანაშაულის ამსრულებლობა. რა არის ამ თემის დადებითი და უარყოფითი მხარეები, შევადარე უცხოურ კანონმდებლობას. შევეხე არაპირდაპირი ამსრულებლობის დოქტრინას საერთაშორისო სისხლის სამართალში. თანამსრულებლობის და თანამონაწილეობის ქართულ და გერმანულ სისხლის სამართალს. გავმიჯნე თანამსრულებლის და თანამონაწილეობის საკითხები. შევეხე არაპირდაპირი ამსრულებლობის აუცილებელ ელემენტებს. ნათელი და თვალსაჩინო გავხადე კონკრეტული საკითხები. აღნიშნული თემიდან გამომდინარე მინდოდა მკაფიოდ გამოჩენილიყო თუ რა პრობლემები არსებს დღეს და რით შეიძლება ამ პრობლემის მოგვარება. როგორც უკვე ავღნიშნეთ შევეხე უცხოურ კანონმდებლობას, კერძოდ გერმანია და გავმიჯნეთ ქართული კანონმდებლობისაგან საიდანაც დიდი სხვაობა არ გამოიკვეთა რადგან ზოგიერთ საკითხში ქართული და გერმანული კანონმდებლობა ერთმანეთის აზრს ემთხვევა.

შევეხე ასევე თანამონაწილეობის და თანამონაწილის სუბიექტურ და ობიექტურ მხარეებს და გავმიჯნე ისინი ერთმანეთისგან.

ამსრულებლისა და თანამონაწილის გამიჯვნა პრობლემური და სადავო საკითხი აღმოჩნდა როგორც დოქტრინაში, ისე სასამართლო პრაქტიკაში და მასზე შექმნილია სხვადასხვა თეორია.

ამსრულებელია ის, ვინც მთლიანად ან ნაწილობრივ უშუალოდ ასრულებს ქმედებას (დანაშაულის) ობიექტურ შემადგენლობას. ხოლო თანამონაწილეა ის, ვინც დანაშაულის ობიექტურ შემადგენლობაში არ იღებს უშუალო მონაწილეობას, არამედ სხვაგვარად განაპირობებს დანაშაულის ჩადენას ორგანიზატორია იყოლიოს ასევე ამსრულებელი ან მას დაეხმაროს. ამსრულებელია ასევე ის, ვინც სხვა პირის - ცოცხალი იარაღის მეშვეობით ასრულებს დანაშაულის ობიექტურ შემადგენლობას.

სუბიექტური თეორია, რომლის მიხედვითაც ამსრულებელია ის, ვინც მოქმედებს ამსრულებლის ნებით და ქმედებას, როგორც საკუთარს ახორციელებს. ხოლო თანამონაწილეა ის, ვინც ქმედებას ახორციელებს, როგორც სხვისას. ამდენად, ამ თეორიით ამსრულებლობისათვის მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ ვინ

ასრულებს დანაშაულის ობიექტურ შემადგენლობას, არამედ ამსრულებელია ის ვისაც ეს ქმედება სურს, როგორც საკუთარი. ამ დროს შესაძლოა, თავად უშუალოდ არც ასრულებდეს დანაშაულის ობიექტურ შემადგენლობას. ხოლო თანამონაწილეა ის, ვისაც ეს ქმედება სურს.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, თემა დანაშაულის ამსრულებელი საკმაოდ თემატური აქტუალური და საინტერესოა ისევ და ისევ მისი შინაარსიდან გამომდინარე. ასევე თემაში გაჩნდა კითხვები რით განსხვავდება ერთმანეთისაგან მომზადება როგორც დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის ნიშანი და დაუმთავრებელი მცდელობა, რომელიც ნამდვილად არის დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის ნიშანი?

გავეცი პასუხები ამ კითხვებს , მომზადება არ გვაძლევს დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის არც ერთ ნიშანს, იგი მხოლოდ პირობებს ქმნის მის განსახორციელებლად. ხოლო დაუმთავრებელი მცდელობისას უკვე დაწყებულია დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის განხორციელება.

ასევე გაჩნდა მეორე კითხვაც : რა მნიშვნელობა აქვს ამ საკითხის გადაწყვეტას თანამონაწილეობისა და ამსრულებლობის გამიჯვნისათვის?

განვიხილე ეს საკითხი რამდენიმე მაგალითზე. მაგალითები კი დავყოთ იმის მიხედვით, სახეზეა შედეგიანი თუ შედეგგარეშე დანაშაული, რადგან ამ ფაქტსაც გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება მომზადებისა და მცდელობის გამიჯვნის საქმეში. ამსრულებლობისა და თანამონაწილეობის გამიჯვნა რომელიც დაკავშირებულია ან როგორც ამსრულებლის ან როგორც თანამონაწილის სუბიექტის სტატუსის დადგენასთან მოვლენათა სისხლისსამართლებრივი შეფასებისას და ამგვარი მიდგომისას რჩება რთულ ამოცანად იგი ხორციელდება ადრე განვითარებული ორი და მესამე მოგვიანებით გავრცელებული თეორიების საფუძველზე .

გამოყენებული ლიტერატურა

მონოგრაფიები

1. ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომც.;
„მერიდიანი“, თბ., 2007;
2. ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი გამომც.;
„მერიდიანი“ თბ., 2016
3. გამყრელიძე ო . საქართველოს სისხლისმსამართლის კოდექსის განმარტება.
გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ., 2008;
4. გამყრელიძე ო . დანაშაულის შუალობითი ამსრულებლობა და
თანამსრულებლობა, თბ ..., ტ.2, თბ.,2011;
5. დონჯაშვილი თ, ფაფიაშვილი შ,საქართველოს სისხლის სამართალი (
ზოგადი ნაწილი) რედაქციით თბ., 2007
6. ფურცხვანიძე ბ. საბჭოთა სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., 1971;
7. მართლმსაჯულება და კანონი (Justice and Law) #3(34);
8. მართლმსაჯულება და კანონი (Justice and Law) #4(47);
9. თანამსრულებლობისა და თანამონაწილეობის გამიჯვნის საკითხი
სახელმძღვანელო იურისტებისთვის გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ.,2015;
10. სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი, წიგნი პირველი, თბ., 2014
11. შეად. . ლოხსინ, დასახ. ნაშრ.
12. შეად. . ლოხსინ, იქვე.
13. შეად. . ლოხსინ, დასახ. ნაშრ. იქვე.
14. პროფ. წერეთელი თ, იხ. თ. წერეთელი. სისხლის სამართლის პრობლემები,
ტომი მე-2, თბ., 2007
15. შეად. . ლოხსინ, დასახ. ნაშრ. გვ. 111. იმავე მოსაზრებას ავითარებდა დიდი
რუსი მეცნიერი ნ. ტაგანცევი ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში. იხ. Н. С.
Таганцев, Лекции, 1902, стр. 762. ტაგანცევის ამ მოსაზრების შესახებ ციტატა
აღებულია თ. წერეთლის ნაშრომიდან - სისხლის სამართლის პრობლემები,
ტომი მე-2

16. მიზგობრივი კავშირისა თუ ობიექტური შერაცხვის შესახებ იხ. თ. წერეთელი. სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი I, თბ., 2007, გ. ნაჭყებია, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ. 2011, 275; ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაული, ძირითადი საკითხები კითხვა-პასუხებით; თბ., 2014, მ. ტურავა. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2013, გვ. ტყეშელიაძე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2007,
17. ლეკვეიშვილი მ, თოდუა ნ , მამულაშვილი გ. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი წიგნი პირველი. გამომც. მერიდიანი. თბილის. 2016
18. მედიცინაში მისატევებელი და მიუტევებელი შეცდომის შესახებ იხ. ო. გამყრელიძე. სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი-2, თბ., 2013, ნ. თოდუა. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, თბ., 2014
19. ამ საკითხზე იხ. ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ., 2011, მ. ტურავა. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2013
20. გამყრელიძე, განმარტება, გვ. 209; ნაჭყებია, ავტ. კოლ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი

უცხური ლიტერატურა

21. M BURI, UBER KANSALITAT UND DEREN VER LE;
22. E. MERGER STTRAFECHT. EIN LEHZ BUCH . MUNCHEN UND LEIPRING 1931. დანაშაულის ამსრულებლობა და დანაშაულში თანამონაწილეობა. ბლიაძე მ, ზედგენიძე ა , ბლიაძე მ, გამომცემლობა „უნივერსალი“ თბ., 2006;
23. K. BIRKMEYER UBER URSCHENBEDRIFF UND KAUSAERUSAMMENHANGIM STRAFRECHT LEIPRIG 1988;

24. ჰედ. : Joecks, Wolfgang, in MünChener kommentar zum StGB, 2. Aufl. 2011, 25 Rn. 4 ff.; Wabmer, martin paul, in anwaltkommentar StGB, 2. Aufl. 2015, vor 25 Rn. 12 ff;
25. Roxin, claus, Taterschaft und Tatherrschaft, 9. Aufl.2015 . S. 107 ff
26. BGHSt 49, 147, 163 f. – Bremer Vulkan; მხარს არ უჭერს Roxin, claus, Strafrecht Allgemeiner Teil, Band II, 2003, 25 Rn. 129 ff.;
27. А.Н. Трайнин. Общее учение о составе преступления Госюриздат, М- 1957. С-168;
28. Wabmer, Martin paul, in Anwaltkommentar StGB, 2. Aufl. 2015, 25 Rn. 66 m. w. N.;

სასამართლო პრაქტიკა

29. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი, 2000, N5

ნორმატიული აქტები

30. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბ., 1999;